

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

ს ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

ქ. ცაგერის თამარ მეფის ქუჩის საერაბილიტაციო
სამუშაოების შესყიდვა

ს ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ი ს ნ ო მ მ რ ი: № GOG/D/CW/1714/151-2012

2012 წელი

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

№ GOG/D/CW/1714/151-2012

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 21 სექტემბერს ერთი მხრივ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა (მისამართი: დ. აღმაშენებლის გამზ. №150, ქ. თბილისი, 0112, საქართველო) (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ შპს „ცეკური“ (მისამართი: ხიზამბარელის ქ №1, ქ. თბილისი, საქართველო) (შემდგომში „მიმწოდებელი“) შორის, საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის დ)-ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ურთიერთშეთანხმების საფუძველზე წინამდებარე ხელშეკრულებას

ქ. ცაგერის თამარ მეფის ქუჩის საერაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა (CPV 45200000) თანხა შეადგენს: 597,520.00 (ხუთასოთხმოცდაჩვიდმეტი ათას ხუთასოცი) ლარი (შემდგომში „ხელშეკრულების ფასი“).

წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს:


1. მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების პირობებში.
2. ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები ქმნიან მოცემულ ხელშეკრულებას და წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს, კერძოდ:
 - ა) წინამდებარე ხელშეკრულება;
 - ბ) მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვა;
 - გ) სამუშაოების შესრულების გრაფიკი;
 - დ) ტექნიკური პირობები;
 - ე) ხელშეკრულების საერთო პირობები;
 - ვ) ხელშეკრულების სპეციფიკური პირობები;
 - ზ) ნახაზები და სპეციფიკაციები;
 - თ) ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა.
3. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას შეუსრულოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული სამუშაოები ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
4. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

5. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაო პროცესში ჩართული საინჟინრო-ტექნიკური პერსონალის და მუშა-მოსამსახურეების შემადგენლობა უზრუნველყოს საქართველოს მოქალაქეებით არანაკლებ 70%-ის ოდენობით, თუ სამშენებლო ობიექტი განლაგებულია საქართველოს ტერიტორიაზე.

ყოველივე ზემოთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.


ხელმოწერილია და დამოწმებულია შემსყიდველის მიერ:

ლევან ჭიჭინაძე
საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის
აღმასრულებელი დირექტორი




ხელმოწერილია და დამოწმებულია მიმწოდებლის მიერ:

ბექა ხაბულიანი
შპს „ცეკური“ - ს
აღმასრულებელი დირექტორი



ბ.ა



სამუშაოთა ხარჯთაღრიცხვა

თანდართულია

**ქ. ცაგერში, თამარ მეფის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოების
ხარჯთაღრიცხვა**

№	სამუშაოს დასახელება	განზ. ერთ.	ერთეულის ფასი (ლარი)	რ-ბა	სულ
1	2	3	4	5	6
1	არსებული დაზიანებული ასფალტის საფარის მოხსნა ფრიზით, დატვირთვა ავტოთვითმცლელელებზე და მისი გატანა ნკმ-ზე.	მ³	3.5	500	1750
2	გზის სავალი ნაწილის მოსწორება ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით	მ³	17	900	15300
3	წვრილმარცვლოვანი ხრემის საფუძვლის მომზადება ასფალტო-ბეტონის საფარის ქვეშ სისქით 7სმ.	მ³	19	530	10070
4	ბეტონის ბორდიურების მოწყობა ბეტონის საფუძველზე გზის სავალი ნაწილის ორივე მხარეს, ტროტუარებისა და ღია არხის პირის მთელ სიგრძეზე	გრძ. მ.	20	740.3	14806
5	მსხვილმარცვლოვანი აფალტო-ბეტონის საფარის მოწყობა სისქით 5სმ.	მ²	18.4	5560	102304
6	წვრილმარცვლოვანი ასფალტო-ბეტონის საფარის მოწყობა სისქით 3სმ.	მ²	16	5560	88960
7	რკინა-ბეტონის ბორდიურების მოწყობა საავტომობილო გზის მთელ სიგრძეზე	მ	20	675	13500
8	მონოლითური რკინა-ბეტონის ღია სანიაღვრე არხის მოწყობა გზის სავალი ნაწილის ერთ მხარეს გზის მთელ სიგრძეზე	მ³	180	275	49500
9	არმატურა A III Ø 10 (1 მ³- 24 კგ)*275	კგ	1.7	6600	11220
10	არმატურა A III Ø 12 (1 მ³- 22 კგ)*275	კგ	1.7	6050	10285
11	აპალუბკის მოწყობა დახერხილი ხე-მასალით	კვმ	25	990	24750
12	ლურსმანი	კგ	2.515	115	289.225
13	დახერხილი ხე-მასალა სისქით 20მმ	მ³	430	15	6450
14	ტროტუარების ასფალტო-ბეტონის საფარის მოწყობა სისქით 3სმ.	კმ.	16	1312.85	21005.6
15	გამწვანების ზოლების ბეტონის ბორდიურების მოწყობა	გრძმ.	20	245	4900
16	გამწვანების ზოლების მოწყობა	კვ.მ.	4.694	142.5	668.895
17	სანიაღვრე არხების გადამსვლელელების მოწყობა სავალი გზის ქვეშ დ-500მმ-იანი მილით	გრძმ.	87	12	1044
18	სანიაღვრე არხების გადამსვლელელების მოწყობა მონოლითური რ/ბეტონისაგან	მ³	180	3.7	666

სამუშაოების შესრულების ვადები / გეგმა გრაფიკი

2 (ორი) თვე

თანდართულია



ქ. ცაგერში, თამარ მეფის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოების გრაფიკი

№	სამუშაოს დასახელება	I ოვე	II ოვე
1	2	3	4
1	არსებული დაზიანებული ასფალტის საფარის მოხსნა ფრიზით, დატვირთვა ავტოთვიტმცლელებზე და მისი გატანა ნკმ-ზე.		
2	გზის სავალი ნაწილის მოსწორება ქვიშა-ხრემოვანი ნარევით		
3	წვრილმარცვლოვანი ხრემის საფუძვლის მომზადება ასფალტო-ბეტონის საფარის ქვეშ სისქით 7სმ.		
4	ბეტონის ბორდიურების მოწყობა ბეტონის საფუძველზე გზის სავალი ნაწილის ორივე მხარეს, ტროტუარებისა და ღია არხის პირის მთელ სიგრძეზე		
5	მსხვილმარცვლოვანი ასფალტო-ბეტონის საფარის მოწყობა სისქით 5სმ.		
6	წვრილმარცვლოვანი ასფალტო-ბეტონის საფარის მოწყობა სისქით 3სმ.		
7	რკინა-ბეტონის ბორდიურების მოწყობა საავტომობილო გზის მთელ სიგრძეზე		
8	მონოლითური რკინა-ბეტონის ღია სანიაღვრე არხის მოწყობა გზის სავალი ნაწილის ერთ მხარეს გზის მთელ სიგრძეზე		
9	არმატურა A III Ø 10 (1 მ ² - 24 კგ)*275		
10	არმატურა A III Ø 12 (1 მ ² - 22 კგ)*275		
11	აპალუბკის მოწყობა დახერხილი ხე-მასალით		
12	ლურსმანი		
13	დახერხილი ხე-მასალა სისქით 20მმ		
14	ტროტუარების ასფალტო-ბეტონის საფარის მოწყობა სისქით 3სმ.		
15	გამწვანების ზოლების ბეტონის ბორდიურების მოწყობა		
16	გამწვანების ზოლების მოწყობა		
17	სანიაღვრე არხების გადამსვლელების მოწყობა სავალი გზის ქვეშ დ-500მმ-იანი მილით		
18	სანიაღვრე არხების გადამსვლელების მოწყობა მონოლითური რ/ბეტონისაგან		
19	არმატურა A III Ø 12 (1 მ ² - 46 კგ)*275		
	ქ.ცაგერის დავით აღმაშენებლის ქუჩის საპროექტო გზის მოწყობის სამუშაოები		
1	არსებული დაზიანებული ასფალტის საფარის მოხსნა ფრიზით, დატვირთვა ავტოთვიტმცლელებზე და მისი გატანა ნკმ-ზე		
2	გზის სავალი ნაწილის მოსწორება ქვიშა-ხრემოვანი ნარევით		
3	წვრილმარცვლოვანი ხრემის საფუძვლის მომზადება ასფალტო-ბეტონის საფარის ქვეშ სისქით 7სმ		
4	მსხვილმარცვლოვანი ასფალტო-ბეტონის საფარის მოწყობა სისქით 5სმ		
5	წვრილმარცვლოვანი ასფალტო-ბეტონის საფარის მოწყობა 3სმ სისქით		

6	რკინა-ბეტონის ბორდიურების მოწყობა საავტომობილო გზის მთელ სიგრძეზე	
7	მონოლითური რკინა-ბეტონის ღია სანიაღვრე არხის მოწყობა გზის სავალი ნაწილის ერთ მხარეს გზის მთელ სიგრძეზე	
8	არმატურა მე-3 კლასი დ=10(183-24კგ)	
9	არმატურა მე-3 კლასი დ=12(183-22კგ)	
10	აპალუგვის მოწყობა დახერხილი ხე-მასალით	
11	ლორსნამი	
12	დახერხილი ხე-მასალა სისქით 20მმ	
13	ტროტუარების ასფალტო-ბეტონის საფარის მოწყობა სისქით 3სმ	
14	სანიაღვრე არხების გადამსვლელების მოწყობა სავალი გზის საფარი ქვეშ დ=400მმ-ანი მილით	

შპს „ცეკურის“ დირექტორი

ბ. ხაბუღიანი



ტიქნიკური პირობები

ქ. ვაკერში თამარ მეფის ქუჩის რეაბილიტაცია ითვალისწინებს საავტომობილო გზის ასფალტო-ბეტონის საფარის მოწყობას, ბორდიურებისა და ღია სანიაღვრე არხების მშენებლობას.

პროექტის განსახორციელებლად საჭიროა ნატარდეს სავალი ნაწილის სრული აღდგენითი სამუშაოები, რისთვისაც უნდა მოიხსნას არსებული ამორტირებული ასფალტის საფარი, მოსწორდეს გზის სავალი ნაწილი ქვიშა-ხეშოვანი ნარევით, მოეწყოს ასფალტო-ბეტონის საფარი. ასევე მოსაწყობია: ბორდიურები და მონოლითური რ/ბეტონის ღია სანიაღვრე არხი საავტომობილო გზის მოელ სიგრძეზე.

ძირითად სამუშაოთა მოცულობები

№	სამუშაოს დასახელება	განზომილება	რაოდენობა
1	2	3	4
1	არსებული დაზიანებული ასფალტის საფარის მოხსნა ფრეზით	მ ³	851
2	ასფალტო-ბეტონის საფარის მოწყობა	მ ²	7802
3	რკინა-ბეტონის ბორდიურების მოწყობა	მ	928
4	მონოლითური რკინა-ბეტონის ღია სანიაღვრე არხის მოწყობა	მ ³	352
5	ტროტუარების ასფალტო-ბეტონის საფარის მოწყობა	მ ²	1051
6	სანიაღვრე არხების გადამსვლელების მოწყობა სავალი გზის ქვეშ დ-400მმ-იანი მილით	მ	23.5

1. სამუშაოების შესრულების ვადები

სამშენებლო სამუშაოების ხანგრძლივობა შეადგენს 2 (ორი) თვეს.

2. სამუშაო ადგილის მომზადება, გარემოს დაცვა

სატენდერო ობიექტის სამუშაო ადგილის გამოყოფა შემსყიდველის მოვალეობაა; მიმწოდებელი პასუხისმგებელია სამუშაოსათვის გამოყოფილი ადგილის გამოყენებაზე და სამუშაოს დასრულების შემდეგ გარემოს საჭირო და სათანადო აღდგენაზე;

მიმწოდებელი პასუხისმგებელია შესრულოს სამუშაო უსაფრთხოდ და ეკოლოგიურად მისაღები გზით და ვალდებულია დაიცვას შემდეგი პირობები:

- უზრუნველყოს სამუშაო ადგილის ფარგლებში ძღებარე ხეების და მცენარეების სიცოცხლისუნარიანობა;
- მინიმუმამდე დაიყვანოს მუშაობით გამოწვეული ხმაურის, ვიბრაციის და მტვერის გავლენა;

- სამუშაოების დასრულების შემდეგ შემსრულებელი თავისი ძალებით და სახსრებით სამი თვის განმავლობაში ვალდებულია გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი სამშენებლო მოწყობილობა-დანადგარებისაგან, მასალებისაგან, დროებითი ნაგებობებისაგან და ა.შ.

3. სამუშაოთა შესრულების წესი

შესრულებულ სამუშაოთა მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად მოქმედი სამშენებლო ნორმების შესაბამისად, მიმწოდებელი ვალდებულია ჩაატაროს ლიცენზირებულ ლაბორატორიაში მასალების და კონსტრუქციების ხარისხის ყველა საკონტროლო ლაბორატორიული გამოცდები და შემოწმებები მათი გამოყენების ვარგისიანობაზე.

მასალები უნდა ინახებოდეს დახურული წესით, გარდა იმ მასალებისა, რომელიც ნორმების მიხედვით ინახება ღია ცის ქვეშ.

მიმწოდებლების მასალებს და კონსტრუქციებს უნდა ჰქონდეს პასპორტი ან სერტიფიკატი ასეთის არსებობის შემთხვევაში. მათი ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს სტანდარტებს, სამშენებლო ნორმებსა და კონტრაქტში მოცემულ სპეციფიკაციებს.

4. ნორმატიული დოკუმენტები

მუშაობის პროცესში მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები შეასრულოს მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მიხედვით;

5. სამუშაოთა წარმოების ჟურნალი

სახელმწიფოებო ობიექტზე მიმწოდებელი აწარმოებს სამუშაოთა წარმოების ჟურნალს ორ ეგზემპლარად, სადაც ყოველდღიურად იწერება შესრულებული სამუშაოების მოცულობა.

ტექნიკური ზედამხედველი ჟურნალში აღნიშნავს თავის შენიშვნებს და რეკომენდაციებს სამუშაოების მოცულობისა და ხარისხის შესახებ, ხოლო მათი არ არსებობის შემთხვევაში ტექნიკური ზედამხედველი ეთანხმება შესრულებული სამუშაოს მოცულობასა და ხარისხს, რასაც ადასტურებს ხელმოწერით.

ჟურნალში ჩაიწერება დეფექტების შესწორების, დავალებებისა და გაფრთხილებების ვადები და ინფორმაცია მათი აღმოფხვრის შესახებ, რასაც ტექნიკური ზედამხედველი და მიმწოდებელი ხელმოწერით ადასტურებენ.

ხელშეკრულების საერთო პირობები

ხელშეკრულების საერთო პირობები წარმოადგენს სატენდერო დოკუმენტაციისა და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილს. ის ატარებს ტიპიურ ხასიათს და უნდა იქნას გამოყენებული ყოველგვარი ცვლილებების გარეშე იმ მოცულობით, რა მოცულობითაც ეს შეესაბამება კონკრეტულ შესყიდვას.

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- 1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებულ ხელშეკრულებას, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
- 1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
- 1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომში „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
- 1.4 „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და ახორციელებს სამუშაოებს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
- 1.5 „აღლე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. სტანდარტები

- 2.1 ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული სამუშაოები უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკურ პირობებში მითითებულ სტანდარტებს.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

- 3.1 ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში და/ან ტექნიკურ პირობებში უნდა იყოს მითითება თუ რა სახის შემოწმებები და გამოცდები სჭირდება შემსყიდველს და ასევე სად უნდა გაიმართოს ისინი. შემსყიდველმა წერილობითი სახით და თავისდროულად უნდა აცნობოს მიმწოდებელს, ამ მიზნებისათვის განკუთვნილი თავისი წარმომადგენლების შესახებ.
- 3.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.
- 3.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

3.4 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების გარანტიისა ან სხვა ვალდებულებებისაგან.

4. სამუშაოს შესრულების პირობები

4.1 სამუშაოს შესრულება ხორციელდება მიმწოდებლის სატენდერო წინადადებაში ასახული გრაფიკის მიხედვით.

4.2 სამუშაოების შესრულების ვადებში ცვლილებების შეტანის შესაძლებლობისა და მისი შესრულების მიმდინარეობაზე შემსყიდველის ან მისი წარმომადგენლის მიერ კონტროლის საკითხები ასახულია ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში.

4.3 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს გრაფიკში ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

5. დაზღვევა (ამ მექანიზმის გამოყენების შემთხვევაში)

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია დაზღვიოს შესყიდვის ობიექტი და/ან მისი ნაწილები (ცალკეული ელემენტები, დანადგარები და წარმოების სხვა საშუალებები, ქონება, მიმწოდებლის და/ან სუბმიმწოდებლის პერსონალი და სხვა) ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში მითითებული მოთხოვნების შესაბამისად.

6. თანმდევი მომსახურება

6.1 მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით გათვალისწინებული თანმდევი მომსახურება, რომელიც დაკავშირებულია სამუშაოს შესრულებასთან და/ან შესყიდვის ობიექტის შემდგომ ექსპლუატაციასთან.

6.2 თანმდევი მომსახურების ღირებულება შედის ხელშეკრულების ფასში.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითელება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, თუ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

7.2 შესყიდვის ობიექტის მიღებისა და საბოლოო შემოწმების ადგილი, პირობები, ეტაპები და წესი ასახულია ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში.

7.3 შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

7.4 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული სამუშაოს მოცულობის და წუნდების მიზეზის მითითებით.

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში მითითებული ფორმითა და ვადებში მიმწოდებლის წერილობითი მიმართვის საფუძველზე.

8.2 მიმწოდებლის წერილობით მოთხოვნას ანგარიშსწორების თაობაზე უნდა დაერთოს ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში მითითებული დოკუმენტაცია.

9. ანგარიშსწორების ვალუტა

9.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში (თუ მიმწოდებელი საქართველოს რეზიდენტია).

9.2 ანგარიშსწორება განხორციელდება სატენდერო დოკუმენტაციაში დაფიქსირებულ საანგარიშსწორებო ვალუტაში მისი ლართან მიმართებაში დაფიქსირებული კურსით.

10. ფასები

10.1 ხელშეკრულებაში მითითებული ფასების შეცვლა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ასეთი რამ გათვალისწინებულია ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გათვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. უფლებების გადაცემა

- 12.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

13. სუბკონტრაქტორები

- 13.1 მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის შესახებ, თუ ეს უკვე არ არის მითითებული სატენდერო წინადადებაში.
- 13.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.
- 13.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით არსებული მატერიალური ან სხვა ვალდებულებებისაგან.

14. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

- 14.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
- 14.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

15. ხელშეკრულების შესრულების გარანტია (ამ მექანიზმის გამოყენების შემთხვევაში)

- 15.1 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი გარანტია გამოიყენება ნებისმიერი ზარალის ანაზღაურების მიზნით, რომელიც მიაღწევა შემსყიდველს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არასრული შესრულების გამო. (გარანტირების მექანიზმის გამოყენება სავალდებულოა თუ შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება აღემატება 200 000 ლარს და გარანტიის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 პროცენტს და არ უნდა იყოს 2 პროცენტზე ნაკლები). იმ გარემოებების ჩამონათვალი, რომელთა დადგომა გამოიწვევს მიმწოდებლისათვის გარანტიის დაუბრუნებლობას და აღნიშნულ გარემოებათა დადგომის გამო, შემსყიდველისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების მიზნით, საგარანტიო თანხის გამოყენების წესი განსაზღვრულია ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში.

15.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულების შემდეგ შემსყიდველი ვალდებულია დაუბრუნოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

15.3 მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე დაუბრუნოს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია

16. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

16.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები და გადახდის ვადები განსაზღვრულია ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში.

16.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

17. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

17.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

- (ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია შეასრულოს სამუშაო ან მისი ნაწილი;
- (ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

17.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

17.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

- ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
- ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
- გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;
- დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

17.4 ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

18. ფორს-მაჟორი

18.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯაროო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

18.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებთან და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

18.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამოწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისა და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამოიწვიოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

19. სადაო საკითხების გადაწყვეტა

19.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

19.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგინილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

20. გამოყენებული სამართალი

20.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

21. ხელშეკრულების ენა

- 21.1 ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი მაშინ მეორე ეგზემპლარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადაწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცელება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

22. შეტყობინება

- 22.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.
- 22.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

23. გადასახადები და დაბეგვრა

- 23.1 უცხოური მიმწოდებელი პასუხს აგებს სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადების, ბაჟების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.
- 23.2 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ხელშეკრულების სპეციფიკური პირობები

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი მისამართი: ქ. თბილისი, 0112, დ. აღმაშენებლის გამზ. №150, საქართველო	შპს "ცეკური" მისამართი: ხიზამბარელის ქ. №1, ქ. თბილისი, საქართველო
ს/კ: 206 074 193	ს/კ: 209 442 174
სახელმწიფო ხაზინა	სს „თი ბი სი ბანკი“ კოდი: TBCBGE22 ა/ა: GE78 TB06 0000 0055 3602 55

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (3)

შემსყიდველი ხელშეკრულების კონტროლის განხორციელებაზე ტექნიკურ ზედამხედველად ნიშნავს ბ-ნ დევნა გუგეშაშვილი მგფ-ს სამუშაოთა ზედამხედველს.

ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლს ტექნიკური ზედამხედველი განახორციელებს შუალედურ კონტროლს პერიოდულად, კვირაში ერთხელ ტექნიკურ პირობების მე-5 მუხლში მითითებული წესის მიხედვით.

3. სამუშაოს შესრულების პირობები (4)

სამუშაოთა დაწყების თარიღია 2012 წლის 21 სექტემბერი სამუშაოები განხორციელდება თანდართული გეგმა-გრაფიკის მიხედვით.

სამუშაოთა დაგეგმილი დასრულების ვადაა 2012 წლის 21 ნოემბერი.

ხელშეკრულება მოქმედებს 2012 წლის 20 დეკემბრის ჩათვლით.

დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდი არის 365 დღე სამუშაოთა დასრულების შემდეგ.

ყოველ 15 დღეში ერთხელ (ან უფრო ადრე საჭიროების შემთხვევაში) მიმწოდებელმა უნდა წარუდგინოს ტექნიკურ ზედამხედველს შესათანხმებლად კალენდარული გრაფიკი, რომელიც ასახავს სამუშაოთა წარმოების თანამიმდევრობას და შესრულებულ სამუშაოთა ღირებულებას. განახლებული გრაფიკში ნაჩვენებია იქნება თითოეული სამუშაოს ფაქტიური პროგრესი და ის ზეგავლენა, რომელსაც ის იქონიებს დარჩენილი სამუშაოების ვადებზე, ღონისძიებების თანამიმდევრობის და სამუშაოთა ღირებულების ნებისმიერი ცვლილების ჩათვლით.

4. დაზღვევა (5)

მიმწოდებელი ვალდებულია დაწყების დღიდან სამუშაოს განხორციელების საბოლოო ვადის დასრულებამდე შემსყიდველისა და მიმწოდებლის ერთობლივი სახელით დააზღვიოს ობიექტი ქვემოთმოყვანილ თანხასა და ფრანშიზაზე:

ა) მინიმალური სადაზღვევო დასაფარი თანხა ობიექტის დაზიანების კომპენსაციისათვის შეადგენს 597,520 (ხუთასოთხმოცდაჩვიდმეტი ათას ხუთასოცი) ლარს, რომლის მოქმედების ვადა უნდა ფარავდეს დეფექტებზე პასივისმგებლობის პერიოდს 365 დღეს სამუშაოების დასრულებიდან (მაქსიმალური დასაკავებელი თანხა – 8,500 ლარი).

ბ) მინიმალური სადაზღვევო დასაფარი თანხა მიმწოდებლის მანქანა-დანადგარების დაზიანების ან დაკარგვის შემთხვევაში შეადგენს 100,000 ლარს (მაქსიმალური დასაკავებელი თანხა -- 1,000 ლარი).

გ) მინიმალური სადაზღვევო დასაფარი თანხები მესამე პირთა საკუთრების დაზიანებისათვის შეადგენს 100,000 ლარს. (მაქსიმალური დასაკავებელი თანხა – 4,000 ლარი)

დ) მინიმალური სადაზღვევო დასაფარი თანხები მიმწოდებლის პერსონალის ტრამვისა და სიკვდილის შემთხვევაში შეადგენს 50,000 ლარს (მინიმუმ 5000 ლარს/კაცზე სამუშაოთა დაწყების თარიღიდან მათი დამთავრების თარიღამდე) და მესამე პირთა დაზიანების ან სიკვდილის შემთხვევისათვის შეადგენს 50,000 ლარს.

5. თანმდევი მომსახურება (6)

არ გამოიყენება

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი (7)

ობიექტის მიღება-ჩაბარება ხორციელდება ერთიანად შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის სათანადოდ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

სამუშაოს დასრულების შესახებ კონტრაქტორის შეტყობინების წერილის მიღებიდან მაქსიმუმ 2 კვირის ვადაში შემსყიდველი ვალდებულია ჩაიბაროს ობიექტი და გააფორმოს მიღება-ჩაბარების აქტი. ამ შემთხვევაში სამუშაოს დასრულების ვადად ითვლება კონტრაქტორის შეტყობინების თარიღი.

მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დეფექტებზე პასუხისმგებლობისგან.

7. გარანტია - დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდი

დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდი შეადგენს 365 დღეს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების თარიღიდან.

8. ანგარიშსწორება (8)

შემსყიდველი განახორციელებს წინასწარ ანგარიშსწორებას მიმწოდებელთან მიმწოდებლის მიერ იმავე ოდენობის თანხაზე საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემდეგ თანდართული ფორმის შესაბამისად. მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სააგანსო საბანკო გარანტია უნდა იყოს ძალაში სამუშაოს შესრულების დასრულებამდე სანამ არ ანაზღაურდება წინასწარი გადახდა.

წინასწარი გადახდის თანხები ანაზღაურებული უნდა იქნეს მიმწოდებლისათვის განკუთვნილი გადახდებიდან პროპორციული თანხების დაკავებით. შესრულებულ სამუშაოებზე გადახდის გრაფიკის თანახმად. წინასწარი გადახდა არ იქნება გათვალისწინებული შესრულებული სამუშაოს ღირებულების, ცვლილებების, ფასების კორექტირების, საკომპენსაციო გარემოებების, პრემიების, ჯარიმების ღირებულებების შეფასებისას.

თვეში ერთხელ მიმწოდებელი წარუდგენს შემსყიდველს მის მიერ შესრულებულ სამუშაოთა უწყისს სამუშაოების ღირებულების ჩვენებით, ადრე შესრულებული სამუშაოებზე გადახდილი თანხის გამოკლებით. შემსყიდველი ამოწმებს მიმწოდებლის მიერ უწყისში შეტანილ სამუშაოთა მოცულობას და ღირებულებას. შემსყიდველი შესრულებული სამუშაოების ღირებულებას მიმწოდებელს გადაუხდის 28 დღის განმავლობაში უწყისის დამოწმების დღიდან. გადახდები გადასინჯული იქნება წინასწარი გადახდის და დასაკავებელი თანხების გათვალისწინებით.

შემსყიდველი დაუკავებს მიმწოდებელს თითოეული გადახდიდან გადასახდელი თანხს 5%-ს სამუშაოს მთლიანად დასრულებამდე. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ მიმწოდებელს დაუბრუნდება დაკავებული თანხის ნახევარი, ხოლო მეორე ნახევარი დაუბრუნდება მას დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდის გასვლის შემდეგ, მას შემდეგ რაც შემსყიდველი დაამოწმებს, რომ მის მიერ მითითებული ყველა დეფექტი გასწორებულია მიმწოდებლის მიერ დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდის დასრულებამდე. სამუშაოს მთლიანად დასრულების შემდეგ მიმწოდებელს შეუძლია შეცვალოს თანხის დაკავება უპირობო "მოთხოვნამდე" საბანკო გარანტიით.

გადახდები იწარმოებს უნაღლო ანგარიშსწორებით, მიმწოდებლის საბანკო ანგარიშებზე.

9. ფასები (10)

ფასების ცვლილება – არ გამოიყენება.

10. სუბკონტრაქტორები (13)

სუბკონტრაქტის გაფორმების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია წინასწარ შეათანხმოს შემსყიდველთან.

11. ხელშეკრულების შესრულების გარანტია (15)

ხელშეკრულების გაფორმებისთანავე მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს ხელშეკრულების შესრულების უპირობო გარანტიას ხელშეკრულების ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტის ოდენობით შემსყიდველისათვის მისაღები საფინანსო ინსტიტუტიდან, შემსყიდველისათვის მისაღები ფორმით. ხელშეკრულების შესრულების გარანტია ძალაში უნდა იყოს სამუშაოების

დასრულების შემდეგ არანაკლებ 28 დღის შემდგომ თარიღამდე. ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია გაცემული უნდა იყოს ბანკის მიერ.

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა (16)

- 12.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის და/ან დეფექტების აღმოჩენის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული კვირისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 1 (ერთი) პროცენტის ოდენობით.
- 12.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო (17)

მხარეებს შეუძლიათ მიიღონ გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე, როდესაც:

- ა) მიმწოდებელი აჩერებს სამუშაოთა წარმოებას 20 დღეზე უფრო ხანგრძლივი დროით, მაშინ როდესაც ეს შეჩერება არ იყო ასახული სამუშაოთა გრაფიკში და არ იყო ნებადართული ტექნიკური დოკუმენტის მიერ;
- ბ) ტექნიკური დოკუმენტი ატყობინებს მიმწოდებელს სამუშაოთა შეჩერების თაობაზე და არ აუქმებს მას 20 დღის განმავლობაში;
- გ) ტექნიკური დოკუმენტი გამოსცემს შეტყობინებას, რომ რომელიმე დეფექტის აღმოუფხვრელობა წარმოადგენს ხელშეკრულების არსებით დარღვევას და მიმწოდებელი ვერ შესძლებს ამ დეფექტის გასწორებას ზედამხედველის მიერ დასაბუთებულად დადგენილი დროის განმავლობაში;
- დ) მიმწოდებელი არ წარმოადგენს საჭირო გარანტიებს;

იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულება წყდება მიმწოდებელის მიერ ხელშეკრულების პირობების არსებითი დარღვევის გამო, ტექნიკური დოკუმენტი გამოსცემს სერტიფიკატს, რომელშიც შეფასებულია შესრულებული სამუშაო და შეკვეთილი მასალები მიმწოდებლისათვის უკვე გადახდილი თანხების და დაუსრულებელ სამუშაოთა ღირებულების ნაწილის გამოკლებით. მიმწოდებელს ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო ჯარიმის სახით დაეკისრება შეუსრულებელი სამუშაოების ღირებულების 25%. სამუშაოთა დასრულების ვადის გადაცილების ჯარიმა არ იქნება გამოყენებული, თუ საერთო თანხა, რომელიც, ამ შემთხვევაში ერგება შემსყიდველს, აღემატება თანხას, რომელიც ერგება მიმწოდებელს, განსხვავება ჩაითვლება დავალიანებად, რომელიც დაფარული უნდა იქნეს მიმწოდებელის მიერ.

ნახაზები და სპეციფიკაციები

თანდართულია

ქ. ცაგერში თამარ მეფის ქუჩის რეაბილიტაცია

ნაწილი 7-ა

დეტალური სპეციფიკაციები

პარაგრაფი	სახელწოდება	შინაარსი
1	სამშენებლო მოედანი	
1.1	ადგილმდებარეობა და მისასვლელი გზები	
2	სამუშაოები კონტრაქტის ფარგლებში	
2.1	ზოგადი აღწერა	
3	პროექტის თავისებურებები	
3.1	პროექტის ძირითადი თავისებურებების აღწერა	
3.2	დროებითი სამუშაოები	
3.2.1	ზოგადი	
3.2.2	სეზონური და წლიური მუშაობის რეჟიმი	
4	ნახაზები	
4.1	სატენდერო ნახაზები	
4.2	მშენებლობისათვის განკუთვნილი ნახაზები	
4.3	კონტრაქტორის მიერ წარსადგენი ნახაზები	
4.3.1	მუშა ნახაზები	
4.3.2	სხვა ნახაზები	
4.4	წარდგენა და დამტკიცება	
4.5	სამშენებლო ნახაზები	
5	ფიზიკური და სხვა მონაცემები კონტრაქტორისათვის	
5.1	მონაცემები და ინფორმაცია	
6	სამუშაოებისა და კვლევების დაგეგმვა	
6.1	რეპერები, კონტურები და ნიშნულები	
6.2	შემოწმება	
7	მასალებისა და აღჭურვილობის დამტკიცება	
7.1	მასალების ხარისხი	
7.2	ნიმუშებისა და მონაცემების წარდგენა	
7.3	გამოცდა	
7.3.1	მწარმოებლის შესაბამისობის სერტიფიკატი	
7.3.2	ქარხნის სერტიფიკატი	
7.3.3	ლაბორატორიული გამოცდის სერტიფიკატი	
7.4	ხარჯები	
7.5	ინსპექტირება	
7.6	დოკუმენტაცია	
8	მშენებლობის გრაფიკი	
8.1	წარდგენის თარიღი	
8.2	მოთხოვნები	
8.3	ყოველთვიური ანგარიშები	
9	სამშენებლო ბანაკი	
9.2	სამშენებლო ბანაკისა და სააქროების ადგილმდებარეობა	
9.3	შენიშვნები და ბანაკი	
9.4	კონტრაქტორის ნებელობების და აღჭურვილობის შენახვა	
9.4.1	მობილური საკომუნიკაციო სისტემა	
9.5	კომუნალური შენობები	
10	უსაფრთხოება და ჯანმრთელობის დაცვა	
10.1	ზოგადი	
10.2	უსაფრთხოების და ხანძარსაწინააღმდეგო ზომები	
11	მშენებლობის კომუნალური მომსახურება	
11.1	ზოგადი	
11.2	ენერგომომარაგება და განათება	
12	ტრანსპორტი-გზები, ხიდები	
12.1	ზოგადი	
12.2	გადასაზიდი და სამშენებლო გზები	
12.3	მისასვლელი ბილიკების, გზებისა და სხვა ობიექტების მოვლა და შენახვა	
12.4	კომუნალური აღჭურვილობა	
13	ეკოლოგიური უსაფრთხოება	
14	სხვა ქვეყნების სტანდარტები	
14.1	ზოგადი	
14.2	სტანდარტების აბრევიატურები	
15	ფოტოსურათები	
16.5	მუშა ნახაზების მომზადება	

1. სამშენებლო მოედანი

ადგილმდებარეობა და მისასვლელი გზები

სამშენებლო ობიექტი მდებარეობს რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთის რეგიონში ქ. ცაგერის ტერიტორიაზე თბილისიდან 320 კმ მანძილზე, მისვლა შესაძლებელია თბილისი-ქუთაისი-წყალტუბო-ცაგერის საავტომობილო მაგისტრალით.

2. სამუშაოები კონტრაქტის ფარგლებში

ზოგადი აღწერა

ქ. ცაგერში თამარ მეფის ქუჩის რეაბილიტაცია ითვალისწინებს საავტომობილო გზის ასფალტო-ბეტონის საფარის მოწყობას, ბორდიურებისა და ღია სანიაღვრე არხების მშენებლობას.

პროექტის განსახორციელებლად საჭიროა ჩატარდეს სავალი ნაწილის სრული ადგილობრივი სამუშაოები. რისთვისაც საჭიროა მიიხსნას დარჩენილი ამორტირებული ასფალტის საფარი, მოსწორდეს კვიშა-ხეშოვანი ნარევი გზის სავალი ნაწილი, მოეწყოს წვრილმარცვლოვანი ზრეშის 2-3 სმ ფრაქციის დამცავი ფენა ასფალტო-ბეტონის საფარის ქვეშ საავტომობილო გზის მთელ პერიმეტრზე, ასევე მოსაწყობია: ბორდიურები და მონოლითური რბეტონის ღია სანიაღვრე არხი სავალი ნაწილის ნალექებიდან დასაცავად საავტომობილო გზის მთელ სიგრძეზე.

მშენებლობის წარმოების წესები, მეთოდები და მითითებები

ქ. ცაგერში თამარ მეფის ქუჩის საავტომობილო გზის სავალი ნაწილის, ბორდიურებისა და ღია სანიაღვრე ქსელების მშენებლობა უნდა მოხდეს მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისად. მიწის სამუშაოების დაწყებამდე ხდება ღერძული დაკვლევა. რაც ფორმდება სოთნალო აქტივით. მშენებლობა უნდა განხორციელდეს საავტომობილო და ტექნიკური ზედამხედველობის ქვეშ, სამშენებლო მოედანი დაცული უნდა იქნეს ზედაპირული წყლების ჩადენებისგან. საავტომობილო გზების და მონოლითური რბეტონის ღია სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოების მსვლელობისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს გეოდეზიური კონტროლი. სამშენებლო ინერტიული მასალების: ზრეში, ქვიშა, ბორდიურები და ასფალტის ტრანსპორტირებისათვის გამოყენებულ იქნას სპეცტექნიკა. კეთილმოწყობის და სპეციალური სამონტაჟო სამუშაოები უნდა აკმაყოფილებდეს „სნ და წ“-ის მოთხოვნებს და შეესაბამებოდეს თაყიანო დანიშნულებას.

ქვემოთ ჩამოთვლილია მოქმედი სამშენებლო ნორმები და წესები, დადგენილებები და სხვა ნორმატიული დოკუმენტაცია, რომლებითაც უნდა იხელმძღვანელოს სამშენებლო ორგანიზაციამ სამშენებლო-სამონტაჟო, მთავრკეთებისა და სპეციალური სამუშაოების წარმოების დროს:

- სნ და წ 3.01.03-84 „გეოდეზიური სამუშაოები მშენებლობაში“;
- სამშენებლო ნორმები და წესები - „შენობების და ნაგებობების ფუძეები“ (36 02.01-08);
- სამშენებლო ნორმები და წესები - „ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები“ (36 03.01-09);
- სამშენებლო ნორმები და წესები - „სეისმოძვედი მშენებლობა“ (36 01.01-09);
- საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 27 მარტის 449 ბრძანება „საქართველოში მოქმედი სახანძრო უსაფრთხოების წესების დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2007 წლის 28 მარტის დადგენილება 62 „მშენებლობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების შესახებ“;
- სნ და წ 3.02.01-83 „ფუძეები და საძირკვლები“;
- სნ და წ 3.03.01-87 „შხიდი და შემოფარგვლელი კონსტრუქციები“;
- სნ და წ -20-74 „ბურულები, ჰიდროზოლაცია, ორთქლიზაცია და თბოზოლაცია“;
- სნ და წ -21-79 „სამშენებლო კონსტრუქციების მოსაპირკეთებელი სამუშაოები“;
- სნ და წ -3-14-72 „იატაკები“;
- სნ და წ 3.04.03-85 „კოროზიისაგან სამშენებლო კონსტრუქციებისა და ნაგებობების დაცვა“;
- სნ და წ -28-79 „შენობებისა და ნაგებობების სანიტარულ-ტექნიკური მოწყობა“;
- სნ და წ -30-79 „წყალმომარაგება, კანალიზაცია და თბომომარაგება, გარე ქსელები და ნაგებობები“;
- სნ და წ -33-79 „ელექტროსამონტაჟო სამუშაოები“;
- სნ და წ -10-75 „ტერიტორიის კეთილმოწყობა“;

მშენებლობის საინჟინრო მომზადება და მშენებლობის წარმართვის ცალკეული ეტაპები

ობიექტის ან მისი ნაწილის მშენებლობის ძირითადი სამუშაოების დაწყება შეიძლება მხოლოდ ნატურაში მშენებლობისათვის მოედნის აუცილებელი შემოღობვის მოწყობის და დაკვალვითი გეოდეზიური საფუძვლის შექმნის შემდეგ. ობიექტის მშენებლობის პროცესში უზრუნველსაყოფია სამშენებლო ნორმების, წესებისა და სტანდარტების, მუშა პროექტის განსაკუთრებული მითითებებისა და ტექნიკური პირობების დაცვა. აკრძალულია სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების განხორციელება მშენებლობის ორგანიზების პროექტისა და სამუშაოთა წარმოების პროექტის გარეშე. დაუშვებელია დამტკიცებული საპროექტო დოკუმენტაციის გადაწყვეტილებებიდან გადახვევა მათი საპროექტო და დამამტკიცებელი ორგანიზაციებთან შეთანხმების გარეშე. მშენებლობის პროცესში სავალდებულოა ტიპური ფორმების მიხედვით შედგეს შემდეგი დოკუმენტაცია:

ტერიტორიის დაკვალვის აქტი;

ქვაბულის, ღია თხრილების დათვალიერების აქტი;

- სამუშაოთა წარმოების ჟურნალი;
- მონოლითური რბეტონის ღია სანიადვე არხების მოწყობის სამუშაოთა ჟურნალი;
- სანიადვე არხების გადაბმების სამუშაოთა ჟურნალი;
- მშენებლობის უსაფრთხოების წესების შესახებ ინსტრუქციის ჟურნალი;
- სააქტროო ზედამხედველობის ჟურნალი;
- ტექნიკური ზედამხედველობის ჟურნალი;

სამშენებლო მოედანი თავის დროზე (როგორც კი არ იქნება მათი საჭიროება) უნდა განთავსდეს დროებითი შენობებისა და ნაგებობებისაგან. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დროებითი ქსელების დროულად გამორიყვას და დაშლას.

მშენებლობის განხორციელების პროცესის რიგითობა და ეტაპები

ობიექტის მშენებლობის განხორციელების პროცესი იყოფა ორ რიგად:

- I - რიგი - მოსამზადებელი სამუშაოები;
- II რიგი ძირითადი სამუშაოები:
- I ეტაპი - მიწის სამუშაოები
- II ეტაპი - არსებული ამორტიზირებული ასფალტის საფარის მოხსნა
- III ეტაპი- სავალი ნაწილის მომზადება ასფალტო-ბეტონის საფარის ქვეშ.
(წვრილმარცვლოვანი ბალასტი, ხრეში).
- IV ეტაპი - ასფალტო-ბეტონის საფარის მოწყობა სისქით 8 სმ (5სმ-3სმ).
- V ეტაპი - ტროტუარების, ბორდიურებისა მოწყობისა და მოსაპირკეთებელი სამუშაოები.

მითითებები მიწისქვეშა და მიწისზედა სამუშაოების თაობაზე

მიწის სამუშაოების დაწყებამდე ფორმდება სათანადო აქტი. სამშენებლო მოედანი გადაღობილი უნდა იქნეს ზედაპირული წყლების ჩადენებისგან. თხრილებიდან მიწის ამოღება წარმოებს ხელით. მომზადებული თხრილები აქტი უნდა მიიღოს დამკვეთისა და სამშენებლო ორგანიზაციის წარმომადგენლობით შემდგარმა კომისიამ. კომისიაში მონაწილეობა უნდა მიიღოს გეოლოგმა. წარმოდგენილი მოპ-ით და მშენებლობის კალენდარული გეგმით გათვალისწინებული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმოება უწყვეტი რიტმით, ნაკადური მეთოდების გამოყენებით, რაც გულისხმობს მანქანა-მექანიზმების გადაადგილებას სამშენებლო ბრეგადებთან ერთად მოსაწყობი კანალიზაციის ქსელის ცალკეულ ნაწილზე მათზე დაკისრებული სამუშაოების შესასრულებლად. სამშენებლო მასალების მიღება სასურველია განხორციელდეს კონტეინერებით.

მითითებები მოსაპირკეთებელ, კეთილმოწყობისა და სპეც. სამონტაჟო სამუშაოებზე

მაპირკეთების, ტერიტორიის კეთილმოწყობის და სპეცსამუშაოები უნდა შესრულდეს წინამდებარე პროექტში (იხ. თავი „მშენებლობის წარმოების წესები, მეთოდები და მითითებები“) მოყვანილი ამ სამუშაოების შესაბამისი სამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით.

მითითებები სახანძრო უსაფრთხოების შესახებ

სახანძრო უსაფრთხოების ღონისძიება სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმოების ყველა ეტაპზე დაცული უნდა იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 27 მარტის №449 ბრძანების „საქართველოში მოქმედი სახანძრო უსაფრთხოების წესების დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად.

ზოგადი მოთხოვნები:

1. მშენებლობის დაწყებამდე სამშენებლო მოედნიდან უნდა იყოს აღებული ხანძარსაწინააღმდეგო მანძილებში მდებარე ყველა შენობა-ნაგებობა. წინააღმდეგ შემთხვევაში მათთვის უნდა იყოს შემუშავებული ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები.
2. მშენებლობის ტერიტორიაზე საწყობების, საწარმოო და დამხმარე შენობანაგებობის განლაგება უნდა შეესაბამებოდეს დადგენილი წესით დამტკიცებულ გენერალურ გეგმას, ამ წესებს და დაპროექტების ნორმების მოთხოვნებს. დაუშვებელია სამშენებლო ტერიტორიაზე ნაგებობების განლაგება ნორმების, წესების და დამტკიცებული გენერალური გეგმის დარღვევით.
3. სახანძრო მანქანების გასასვლელი გზები უნდა იყოს გამართული ნებისმიერ დროს. შესასვლელი ჭიმკრების სიგანე უნდა იყოს არანაკლებ 4 მ.
4. სამშენებლო მოედნების შესასვლელთან უნდა იყოს გამოკრული მშენებლობის ხანძრისგან დაცვის გეგმები, მშენებარე და დამხმარე შენობების და ნაგებობების, შესასვლელების, მისასვლელების, წყლის წყაროების, ხანძრის ჩაქრობის და კავშირგაბმულობის საშუალებათა ადგილმდებარეობის აღნიშვნით.
5. ყველა მშენებარე და მოქმედ (მათ შორის დროებით) შენობასთან, სამშენებლო მასალების, კონსტრუქციების და დანადგარების ღიად შენახვის ადგილებამდე უნდა იყოს უზრუნველყოფილი თავისუფალი მისასვლელები.
6. წვადი მასალების ღია საწყობების, აგრეთვე წვადი და ძნელად წვადი მასალებით ნაგები საწყობების, საწარმოო და დამხმარე სათავსებით დაკავებული ტერიტორია უნდა იყოს გაწმენდილი ხმელი ბალახის, შამნარის, ქერქისა და ნაფოტებისგან. ღია მოედნებზე შესანახად განკუთვნილი წვადი სამშენებლო მასალები (დახერხილი ხე-ტყე, ტოლი, რუბეროიდი და სხვ.), წვადი მასალების გამოყენებით დამზადებული ნაკეთობები და კონსტრუქციები, აგრეთვე წვად შეფუთვებში მოთავსებული მოწყობილობები და ტვირთები უნდა დაიწყოს შტაბელებად ან ჯგუფებად არაუმეტეს 100 მ² ფართობზე.
7. დაუშვებელია დროებითი საწყობების (საკუჭნაობის), სახელოსნოების და ადმინისტრაციულ-საყოფაცხოვრებო სათავსების მოწყობა იმ ნაგებობაში, რომელიც შენდება ცეცხლისგან დაუცველი მზიდი ლითონის კონსტრუქციებისა და წვადი პოლიმერული მათუნებლიანი პანელების გამოყენებით.
8. წვადი და ძნელად წვადი მასალების ყალიბები ბეტონის საჭირო სიმტკიცის მიღწევის შემდეგ უნდა იქნას გატანილი ტერიტორიიდან.
9. ძირითადი სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე მშენებლობა უნდა იყოს უზრუნველყოფილი ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგებით წყალსადენის ქსელზე დაყენებული სახანძრო პიდრანტებიდან ან რეზერვუარებიდან (წყალსატევებიდან).

მითითებები ბუნების დაცვის ღონისძიებებზე

სამშენებლო მოედანზე წარმოების პროცესში აუცილებელია გარემომცველი ბუნებრივი გარემოს დაცვის ღონისძიებებისა და სამუშაოების განხორციელება ბუნებისდაცვითი და ჰაერის გაბინძურების საწინააღმდეგო ღონისძიებების მოქმედი საკანონმდებლო აქტებისა და ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისობით. სამშენებლო მოედნიდან წყლის გაშვება სათანადო დაცვის გარეშე დაუშვებელია, რათა ადგილი არ ქონდეს ნიადაგის გარეცხვას. ჰაერის დამტვერიანების თავიდან ასაცილებელი მოთხოვნები დაცული უნდა იქნეს სამშენებლო სამუშაოების წარმოების დროს. სამშენებლო მოედანზე წარმოქმნილი საწარმოო და საყოფაცხოვრებო ჩამოედინებები უნდა იქნეს მიწის დამაინფიცირებელი და გაუვნებელდეს დაუშვებელია არსებულ საკანალიზაციო ქსელში ბეტონ და ხსნარ-მილსადენების ჩარეცხვა ან მათი დანაგვიანება სამშენებლო ნარჩენებით. სამშენებლო მოედანზე აკრძალულია ბეტონის წარვევის დამზადება. სამშენებლო მოედნიდან ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამოსვლის წინ საჭიროებს მათი საბურავების გარეცხვას, რათა ადგილი არ ქონდეს ქუჩების დაბინძურებას.

ზოგადი მოთხოვნები:

სამშენებლო მოედანზე გამოყოფილი უნდა იყოს პასუხისმგებელი ინჟინერი, რომელიც პასუხს აგებს უსაფრთხოების წესების დაცვაზე. მუშებსა და ინჟინერტექნიკურ პერსონალს სამშენებლო მოედანზე ყოფნისას უნდა ეხმარებოდეს ჩაუხუტები. ხოლო სპეციალური სამუშაოები უნდა შესრულდეს სათანადო აღჭურვილობის გამოყენებით. მშენებლობის ყველა ობიექტზე უნდა იყოს პირველი სამედიცინო დახმარების გასაწევი საშუალებები. სამშენებლო სამუშაოთა წარმოების უბანი და ადგილი ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ თავიდან იქნეს აცილებული ტრავმატიზმის შესაძლებლობა.

სამშენებლო მოედანი და მშენებლობის პროცესის უსაფრთხოება:

1. ძირითადი სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე უნდა მოეწყოს სამშენებლო მოედანი და მისი მიმდებარე ტერიტორია.
2. სამშენებლო მოედნის ტერიტორია და მისი საზღვრები განისაზღვრება მშენებლობის განხორციელების დოკუმენტებით.
3. სამშენებლო მოედნის საზღვრები, როგორც წესი, უნდა მოქცეს მიწის ნაკვეთის საზღვრებში.
4. იმ შემთხვევებში, როდესაც სამშენებლო მოედნის საზღვრები არ არის საკმარისი სამშენებლო საქმიანობის განსაზღვრისთვის და ამისათვის არსებობს დასაბუთებული აუცილებლობა, მაშინ იმ მოსაზრებზე მიწის ნაკვეთის ანდა საზოგადოებრივი ტერიტორიის სივრცის გამოყენება, რომელსაც არ ფლობს საკუთრებაში მშენებლობის ნებართვის მფლობელი, განისაზღვრება ხელშეკრულებით, რომელიც მშენებლობის ნებართვის მფლობელსა და ამ მიწის ნაკვეთის ანდა საზოგადოებრივი სივრცის, ტერიტორიის, შესაკუთრებს შორის არის გაფორმებული. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ადგენენ საზოგადოებრივი ტერიტორიის სივრცის დროებითი სარგებლობის წესს.
5. დასაბუთებული აუცილებლობის შემთხვევაში, მოსაზრებზე მიწის ნაკვეთის შესაკუთრებს არა აქვთ უფლება შეუზღუდონ მშენებლობის ნებართვის მფლობელს სამშენებლო საქმიანობის განხორციელება.
6. სამშენებლო მოედნის მოწყობა უნდა განხორციელდეს სამშენებლო საქმიანობის სამშენებლო რეგლამენტების მოთხოვნათა დაცვით.
7. სამშენებლო მოედანზე ყველა ის ადგილი, სადაც შესაძლებელია შეიძლება სამშენებლო საქმიანობისაგან დაზიანდნენ, უნდა შემოისაზღვროს და აღინიშნოს გამაფრთხილებელი ნიშნებით.
8. სამშენებლო მოედანზე განხორციელებული ღონისძიებები უნდა უზრუნველყოფდნენ შესაბამისი სამშენებლო საქმიანობის სამშენებლო რეგლამენტების მოთხოვნებს, მათ შორის:
 - ა) მის სისუფთავს და არ დაუშვებენ მიმდებარე მიწის ნაკვეთებისა და ქუჩების დაბინძურებას, აგრეთვე ამ ქუჩების გზის საფარის დაზიანებას;
 - ბ) სამშენებლო მოედანზე არსებული ძირითადი და საერთო სარგებლობის საინჟინრო კომუნიკაციები-ნაგებობების დაცვას;
 - გ) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებას;
 - დ) სათანადო სამუშაო პიგიურული პირობების დაცვას;
 - ე) სამუშაოების წარმოების უსაფრთხოებას;
 - ვ) საწარმოო ნარჩენებით, ჩამდინარე წყლებითა და ჰაერის დამტვერიანებით მიმდებარე გარემოს, მათ შორის ქუჩებისა და საზოგადოებრივი სივრცის დაბინძურების თავიდან აცილებას;
 - ზ) სამუშაოთა წარმოებას ხმაურისა და ვიბრაციის დონის დასაშვებ ფარგლებში.

9. სამშენებლო მოედანზე უნდა დამატდეს საზოგადოებ-რივი სივრცეებიდან აღქმადი საინფორმაციო დაფა ამ დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად. **ტექნიკური აღჭურვილობისა და ინსტრუმენტის ექსპლუატაცია:**

1. მშენებლობის დროს გამოყენებული ყველა ტექნიკური აღჭურვილობა და ინსტრუმენტი უნდა იყოს მუშა მდგომარეობაში, მათი ექსპლუატაცია უნდა ხდებოდეს მწარმოებლის მიერ განსაზღვრული წესით.
2. ტექნიკური აღჭურვილობის და ინსტრუმენტის ექსპლუატაციისას დაუშვებელია არაქარხნული (კუსტარული) წესით დამზადებული დეტალების ანდა სათადარიგო ნაწილის გამოყენება.
3. დისკონიანი სამშენებლო ინსტრუმენტები უნდა იყოს აღჭურვილი დამცავი გარსაცმით.

სამშენებლო მანქანა-მექანიზმების ექსპლუატაცია:

1. მანქანამექანიზმების ექსპლუატაცია და ტექნიკური მომსახურება უნდა განხორციელდეს მწარმოებლის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.
2. მანქანამექანიზმების მუშაობის ზონაში უნდა განთავსდეს გამაფრთხილებელი ნიშნები.
3. სამშენებლო მოედანზე მანქანამექანიზმების განლაგების ადგილი განისაზღვრება პროექტით. ელექტროამძრავიანი მექანიზმების ექსპლუატაცია უნდა განხორციელდეს დადგენილი წესების შესაბამისად.
4. ელექტროამძრავიანი მანქანა-მექანიზმების ტექნიკური მომსახურების დროს მიღებულ უნდა იქნეს ზომები ძაბვის უკონტროლო ჩართვის თავიდან ასაცილებლად.

დატვირთვადების სამუშაოები:

1. ტვირთის ჩაბმა ასაწევად არ უნდა მოხდეს თვითნაკეთი ჩასაბმელით და უნდა განხორციელდეს ამჟამ მქანიზმის ქარხნული ჩასაბმელით ან ტვირთის ჩასაბმელი სპეციალური მოწყობილობით. ჩაბმის ხერხი უნდა გამოირჩეხდეს ტვირთის ვარდნის ან სრიალის შესაძლებლობას.

- სატრანსპორტო საშუალებებზე ტვირთის დადგმა (დაწყობა) უნდა უზრუნველყოფდეს მათი მდგრად მდგომარეობას ტრანსპორტის მოძრაობის დროს და კონტროლირებად გადაადგილებას დაცლის დროს.
- ავტომატური აწვევა მექანიზმებით დატვირთვისას როგორც მძღოლს, ისე სხვა პირებს ეკრძალებათ მანქანის კაბინაში ყოფნა. თუ ამ უკანასკნელს არა აქვს დამცავი საფარი.

ბეტონისა და რკინაბეტონის სამუშაოები:

- სამშენებლო მოედანზე ბეტონის მოსამზადებლად გამოყენებული ბეტონსამრეცებისა და სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენება უნდა განხორციელდეს მათი უსაფრთხო ექსპლუატაციისათვის მწარმოებლის მიერ დადგენილი წესებით.
- ყალიბებზე მასალების დაწყობა და ყალიბის საფეხებზე მომუშავეთა ყოფნა, რომლებიც უშუალოდ არ მონაწილეობენ სამუშაოთა წარმოებაში, დაუშვებელია.
- ბეტონის ნარევის ელექტროვიბრატორით შემკვრივების დროს უნდა გამოირიცხოს დენგამტარის იზოლაციის დაზიანება.

სამონტაჟო სამუშაოები:

- ძირითადი სამონტაჟო სამუშაოთა შესრულების დაწყებამდე საჭიროა მემონტაჟის წარმოების ხელმძღვანელსა და მემანქანეს შორის პირობითი სიგნალის შუთხანება.
- სამშენებლო მასალების აწვევა დასაშვებია მხოლოდ გვარღზე მიმაგრებული მარყუჟის ან ტრავერსის ჩაბმით. ამწის მემანქანესა და მემონტაჟის შორის უნდა არსებობდეს კომუნიკაციის საშუალება.
- მუშების ყოფნა კონსტრუქციისა და დანადგარის ელემენტებზე მათი გადაადგილების დროს სასტიკად აკრძალულია.
- საპროექტო მდგომარეობაში დაყენებული ელემენტების ჩახსნა უნდა განხორციელდეს მათი დროებით ან მუდმივად საიმედო დამაგრების შემდეგ.
- დაუშვებელია სამონტაჟო სამუშაოთა შესრულება სიმაღლეზე ღია ადგილებში ქარის 15 მ/წმ და მეტი სიჩქარის, ტემპერატურისა და ნისლის დროს, როდესაც სამუშაო ფრონტის ფარგლებში მხედველობა შეზღუდულია. პანელებისა, ლითონის მზიდი კონსტრუქციებისა და მათი მსგავსი კონსტრუქციების გადაადგილება და მონტაჟი 10 მ/წმ და მეტი სიჩქარის ქარის დროს უნდა შეწყდეს.
- სამუშაოთა შეწყვეტისას სამშენებლო მასალების და დანადგარების დატოვება დაკიდებულ მდგომარეობაში დაუშვებელია.
- თუ მომუშავეთა ყოფნა დანადგარების ქვეშ მათი დაყენების დროს აუცილებელია. მაშინ უნდა განხორციელდეს სპეციალური ღონისძიებები მომუშავეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფად.
- სამონტაჟო სამუშაოების წარმოებისას ექსპლუატაციაში მყოფი ელექტროქსელი უნდა გამოირთოს.

ელექტროსამონტაჟო სამუშაოები:

- ნებისმიერ ელექტროსამონტაჟო სამუშაოთა შესრულების დროს უნდა განხორციელდეს გათვალისწინებული ჩართვის (წრედის დამცველები უნდა მოიხსნას) ან გამორთვის თავიდან აცილების ღონისძიებები.
- ელექტრული წრედისა და აპარატურის გამოსაცდელად დენის მიწოდებისას საჭიროა დაცული იქნეს შესაბამისი წესები.
- კაბელური ხაზების გაყვანისას საჭიროა დაცული იქნეს კაბელების გაყვანისათვის გათვალისწინებული წესები.

3. პროექტის თავისებურებები

3.1 პროექტის ძირითადი თავისებურებების აღწერა

ქვემოთ მოცემული კონტრაქტის ფარგლებში შესასრულებელი ძირითადი სამუშაოების აღწერა ზოგადი ხასიათისა და არ მოიცავს კონტრაქტის ყველა სამუშაოს და აღჭურვილობა-ნაგებობების აღწერას. შესასრულებელ სამუშაოთა დეტალური ჩამონათვალი მოცემულია სამუშაოთა მოცულობების ნაწილში და მუშა ნახაზებზე.

ძირითად სამუშაოთა მოცულობები

N°	სამუშაოს დასახელება	განზომილება	რაოდენობა
1	2	3	4
1	არსებული დაზიანებული ასფალტის საფარის მოხსნა ფრეზით	მ ³	851
2	ასფალტო-ბეტონის საფარის მოწყობა	მ ²	7802

3	რკინა-ბეტონის ბორდიურების მოწყობა	მ	928
4	მონოლითური რკინა-ბეტონის ღია სანიაღვრე არხის მოწყობა	მ ³	352
5	ტროტუარების ასფალტო-ბეტონის საფარის მოწყობა	მ ²	1051
6	სანიაღვრე არხების გადამსვლელების მოწყობა სავალი გზის ქვეშ დ-400მმ-იანი მილით	მ	23.5

**ძირითადი სამშენებლო მანქანების და სატრანსპორტო
საშუალებების საჭირო რაოდენობის უწყისი**

N	დასახელება	განზომილება	რაოდენობა
1	ბუქდღოშერი	კალი	2
2	დამტვირთავი	კალი	2
3	აეცოთითმცველი	კალი	5
4	გრეიდერი	კალი	2
5	საქკეპნი	კალი	2
6	გუდრონატორი	კალი	1
7	ასფალტოდაამგები	კალი	1
8	სანგრევი ნაქუნი მომუშავე კომპრესორზე	კალი	2

ა. ზოგადი სამუშაოები

ზოგადი სამუშაოები მოიცავს პროექტისათვის მობილიზაციას, სამშენებლო სამუშაოებს, ოფისისა და საცხოვრებლის უზრუნველყოფისა და შენახვის ზარჯებს და ა.შ.

ბ. სამშენებლო სამუშაოები

სამუშაოთა დაწყებაზე კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს სარეაბილიტაციო ობიექტის დაკავალა და ნაგებობების (ტრასების) ღერძების აღვიღზე გადატანა.

მიწის სამუშაოები მოიცავს ყველა სახის გრუნტის ამოღებასა და ყრილს, ნატანისაგან წმენდას, მისასვლელ და საექსპლუატაციო გზებს, წყალამოღვრას მშენებლობისას და სხვა, ასევე არსებული საექსპლუატაციო გზების შეკეთებას.

ბეტონის სამუშაოები მოიცავს მწირი (მჭლე) და მონოლითური ბეტონის და რკინაბეტონის სამუშაოებს ფუნდამენტის ფილების, სოავისების, ბოძებისათვის და სხვა, ასევე მეორე ეტაპის ბეტონის სამუშაოებს მექანიკური მოწყობილობის ჩასატანებელი ნაწილების დაყენებისა და ჩამაგრებისათვის და ასაწყობი ბეტონის ელემენტებისათვის.

3.2 დროებითი სამუშაოები

3.2.1 ზოგადი

კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს და ორგანიზება გაუკეთოს მშენებლობაზე ელექტრო ენერჯის და წყლის შეტენას და მიწოდებას და სხვა მომსახურებას; კონტრაქტორი პასუხისმგებელია საჭირო მისასვლელი გზების, საშენებლო დამბის, ოფისებისა და საწყობების მშენებლობასა და შენახვაზე; უნდა შეასრულოს ყველა საჭირო სამუშაო, სპეციფიკაციების შესაბამისად. წინამდებარე დოკუმენტში აღწერილი ობიექტის დასასრულებლად.

3.2.2 სეზონური და წლიური მუშაობის რეჟიმი

ზოგადი

სამუშაოების ჩატარება მშენებლობაზე შესაძლებელია გაზაფხულიდან შემოდგომის ბოლომდე. კონტრაქტორის მშენებლობის გრაფიკში შესაბამისად უნდა იქნეს გათვალისწინებული სეზონური და წლიური მუშაობის რეჟიმი.

მშენებლობის გრაფიკი

ტენდერში მონაწილემ თავის სატენდერო წინადადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს მშენებლობის გრაფიკი, რომელშიც თვალნათლივ იქნება ნაჩვენები, თუ როგორ აპირებს ის სამუშაოების თანამიმდევრულად განხორციელებას.

ბუნებრივი პირობები

სარეაბილიტაციო ობიექტის სიმაღლე ზღვის დონიდან 620 მ-ზეა ტერიტორიაზე მკვეთრად არის გამოხატული ჰავის სიმაღლბერძვი ზონალურობა. ვაკე ნაწილში ზომიერად თბილი ზომიერად ნოტიოზე გარდამავალი ჰავაა საკმაოდ ცხელი ზაფხულით. ჰაერის წლიური (საშუალო) ტემპერატურა 9-10⁰ C. თოვლის საფარის პირველი გამოჩენა დეკემბრის თვის I დეკადაშია (ცალკეულ წლებში უფრო ადრეც), ხოლო თოვლის საფარის გაქრობა შეიძლება მარტის I-II დეკადაში. მყარი თოვლის საფარი უმეტესად იანვარ-თებერვალშია.

გეოლოგია

გეოლოგიური აღნაგობის სარეაბილიტაციო ტერიტორიაზე გამოიყოფა ქვიშა-ხრემოვანი და ღორღის ფენები.

4. ნახაზები

4.1 სატენდერო ნახაზები

მე-7 ნაწილის („ნახაზები“) შესაბამისად დასათურებული და დანომრილი ნახაზები, რომელთაც აქედან მოყოლებული ეწოდება სატენდერო ნახაზები, გვიჩვენებს კონტრაქტორის მიერ შესასრულებელ სამუშაოებს. სატენდერო დოკუმენტები „მხოლოდ ტენდერისთვისაა“ და არ უნდა იქნეს გამოყენებული როგორც წარმოებისა და მშენებლობის საფუძველი, მაგრამ ამასთან შეიძლება გამოყენებულ იქნეს მასალებზე წინასწარი შეკვეთების საფუძველად იმ შესწორებების გათვალისწინებით, რომელიც შეიძლება საჭირო გახდეს წინამდებარე დოკუმენტის 4.2 პარაგრაფის შესაბამისად. შემდგომში გაცემული ნახაზების შესაბამისად.

4.2 მშენებლობისათვის განკუთვნილი ნახაზები

კონტრაქტის მინიჭების შემდეგ, სატენდერო დოკუმენტაცია შეიცვლება მშენებლობისათვის განკუთვნილი ნახაზებით, რომლებიც (თუ საჭიროა) მოიცავს დამატებითი სპეციფიკაციებს. მშენებლობისათვის განკუთვნილი ნახაზები შეიძლება მოიცავდეს ხელმოწერულ გამოცემულ სატენდერო ნახაზებს, შესწორებულ სატენდერო ნახაზებს, დამატებით ნახაზებს მშენებლობის დაზუსტებული დეტალების და საჭირო ცვლილებებს შეტანით. მშენებლობისათვის განკუთვნილი ნახაზები, რომლებიც განსხვავდება სატენდერო ნახაზებისა და სპეციფიკაციებისაგან, განხილულ იქნება პროექტის მენეჯერის მიერ, რომელმაც უნდა განსაზღვროს კონტრაქტის ფასში ცვლილებები (თუ ცვლილებები საჭიროა) კონტრაქტის პირობების ა.38 პარაგრაფის („მოცულობებში ცვლილებები“) დებულებათა შესაბამისად. მშენებლობისათვის გამოცემული ნახაზები იქნება ის ნახაზები, რომელთა საფუძველზე კონტრაქტორი მოამზადებს მუშა ნახაზებს, არმატურის დეტალურ ნახაზებს, არმატურის ღეროების უწყისს, მონტაჟის, ბეტონირების, ყალიბების და სხვა დეტალურ სამშენებლო ნახაზებს. სამუშაო შესრულებდა მშენებლობისათვის გამოცემული ნახაზების შესაბამისად.

ტერმინი „სამშენებლო ნახაზები“, რომელიც გამოიყენება სპეციფიკაციებში, ნიშნავს მშენებლობისათვის განკუთვნილ ნახაზებს, როგორც წინამდებარე პარაგრაფშია აღწერილი.

ნახაზები და სპეციფიკაციები გადაეცემა კონტრაქტორს, როგორც ეს ქვემოთ არის მითითებული.

სატენდერო ნახაზები

კონტრაქტორი უფასოდ მიიღებს სატენდერო ნახაზების ერთ კომპლექტს. წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე კონტრაქტორს შეუძლია დამატებითი კომპლექტების მიღება, თუ ანაზღაურებს მათი ასლების გადაღების საფასურს.

სამშენებლო ნახაზები

კონტრაქტორი მიიღებს ყველა სამშენებლო ნახაზის ერთ გასამრავლებელ ორგინალს და ორ ამობეჭდილ ასლს.

სხვა საკონტრაქტო დოკუმენტები ნახაზების გარდა

კონტრაქტორი უფასოდ მიიღებს საკონტრაქტო დოკუმენტების ორ კომპლექტს, ნახაზების გარეშე. წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე კონტრაქტორს შეუძლია მიიღოს კომპლექტების დამატებითი რაოდენობა, თუ ანაზღაურებს ასლების გადაღების ხარჯებს.

4.3 კონტრაქტორის მიერ წარსადგენი ნახაზები

4.3.1 მუშა ნახაზები

სამუშაოებისათვის საჭირო ყველა მუშა ნახაზი არმატურის დეტალური ნახაზების, არმატურის ღეროების უწყობის, მონტაჟის სქემების, გვეგებისა და დეტალური სამშენებლო ნახაზების, და სხვა ჩათვლით, კონტრაქტორმა უნდა წარუდგინოს პროექტის მენეჯერს დასამტკიცებლად. თუ რომელიმე სამუშაოსათვის საჭირო გახდება უფრო დეტალური ნახაზები, კონტრაქტორმა უნდა მოამზადოს ისინი და წარუდგინოს პროექტის მენეჯერს დასამტკიცებლად. ყველა ნახაზი უნდა იყოს სრული და წარდგენილ იქნას დროულად და ლოკალური თანამიმდევრობით სამუშაოთა ჯეროვანი კოორდინაციის გასაადვილებლად.

4.3.2 სხვა ნახაზები

შენებლობის შემოთავაზებული მეთოდების ამსახველი ნახაზები და სხვა ნახაზები, რომლებსაც მოითხოვს სპეციფიკაციები, უნდა წარუდგინოს პროექტის მენეჯერს წინასწარ დასამტკიცებლად ნებისმიერი მოქმედების დაწყებამდე.

4.4 წარდგენა და დამტკიცება

თუ სხვაგვარად არ არის მითითებული, პროექტის მენეჯერს უნდა წარუდგინოს ყოველი ნახაზის ხუთი შავ-თეთრი ასლი, მეთოდის აღწერა, გაანგარიშება და სხვა ამგვარი დოკუმენტაცია, რომელიც საჭიროებს დამტკიცებას ან განხილვას. აღნიშნული დოკუმენტები უნდა წარუდგინოს იმ პირებს და იმ მისამართზე, რომელიც მითითებულია პროექტის მენეჯერის მიერ კონტრაქტის მინიჭებიდან 28 დღეში გამოცემულ წერილობით შეტყობინებაში. მიღებიდან 28 დღის განმავლობაში პროექტის მენეჯერმა კონტრაქტორს უნდა გაუგზავნოს ერთი ასლი აღნიშნული „დამტკიცებულია“ ან „დამტკიცებულია გარდა აღნიშნულის“ ან „დაბრუნებულია შესასწორებლად“. აღნიშნული „დამტკიცებულია“ და „დამტკიცებულია გარდა აღნიშნულის“ კონტრაქტორს აძლევს უფლებას გააგრძელოს ნახაზში მოცემული მასალებისა და აღჭურვილობის შესყიდვა და ან წარმოება, მითითებული შენიშვნების (თუ ისინი არსებობს) გათვალისწინებით. თუ ნახაზების ასლები „დაბრუნებულია შესასწორებლად“ კონტრაქტორმა უნდა შეიტანოს შესაბამისი შესწორებები ნახაზებში და ხელახლა წარადგინოს ისინი დასამტკიცებლად, როგორც ახალი ნახაზები. კონტრაქტის მოქმედების ვადის განმავლობაში განხორციელებული ნებისმიერი ცვლილებება შესაბამისი ნომრითა და თარიღით უნდა იქნეს აღნიშნული და აღწერილი ცვლილებების ნაწილში.

მას შემდეგ, რაც კონტრაქტორი მიიღებს ნახაზებს აღნიშნული „დამტკიცებულია“ ან „დამტკიცებულია გარდა აღნიშნულის“ (და ამ უკანასკნელ შემთხვევაში შეიტანს ნახაზებში საჭირო ცვლილებებს). მან ყოველი ნახაზის ოთხი ამობეჭდილი ასლი და ერთი გასამრავლებელი ორგინალი უნდა გააგზავნოს ზემოაღნიშნულ მისამართ(ებ)ზე, თუ არ არსებობს სხვაგვარი მითითება. თუ ნახაზის დამტკიცების შემდეგ მასში რაიმე ცვლილება იქნება შეტანილი, კონტრაქტორმა ყოველი ცვლილების დამტკიცების შემდეგ დამატებით უნდა წარმოადგინოს ნახაზის რვა ამობეჭდილი და ერთი გასამრავლებელი ორგინალი.

კონტრაქტორის მიერ მოსამზადებელ ნახაზებთან დაკავშირებით წინამდებარე პარაგრაფში მოცემული ყველა მოთხოვნა თანაბრად ვრცელდება ასევე კატალოგებზე, ილუსტრაციებზე, ნაბეჭდ სპეციფიკაციებზე და სხვა დოკუმენტებზე, რომლებიც წარდგენილ უნდა იქნას დასამტკიცებლად.

ნებისმიერი სამუშაო, შესრულებული ნახაზების დამტკიცებამდე, წარმოადგენს კონტრაქტორის რისკს. პროექტის მენეჯერს ექნება უფლება მოითხოვოს დამატებითი დეტალები ან მოსთხოვოს კონტრაქტორს ნებისმიერი ცვლილებების შეტანა პროექტში. რომელიმე შესაბამება ამ სპეციფიკაციების დებულებებსა და მიზნებს და არ მოითხოვს დამკვეთისაგან დამტკიცებით ხარჯებს. პროექტის მენეჯერის მიერ ნახაზების დამტკიცება არ წარმოადგენს სრულყოფილ შემოწმებას, არამედ მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ მშენებლობის საერთო მეთოდი და დეტალები დამაკმაყოფილებელია. პროექტის მენეჯერის მიერ კონტრაქტორის ნახაზების დამტკიცება არ ათავისუფლებს ამ კონტრაქტორს მისი ვალდებულებებისაგან, რომ დააკმაყოფილოს ამ სპეციფიკაციების ყველა მოთხოვნა, იყოს პასუხისმგებელი კონტრაქტორის ნახაზების სისწორეზე. ასაწყობი ნაწილების სწორად დამონტაჟებაზე ან მშენებლობის მეთოდის ადეკვატურობაზე.

4.5 საშემსრულებლო ნახაზები

სამუშაოთა მსვლელობის დროს კონტრაქტორმა უნდა აღწესდეს ნახაზებზე ნაჩვენები საპროექტო გადაწყვეტილებების და გეგმების ყველა ცვლილება და შესწორება და უნდა მოამზადოს საშემსრულებლო ნახაზები. კონტრაქტორმა პროექტის მენეჯერს უნდა წარუდგინოს საშემსრულებლო ნახაზების წინასწარი ვარიანტის და

ექსპლუატაციის წესების საბი ასლი. დამტკიცების შემდეგ მან დამკვეთს უნდა წარუდგინოს ერთი გასამრავლებელი ორიგინალი და ხუთი დაბეჭდილი ასლი.

5. ფიზიკური და სხვა მონაცემები კონტრაქტორისათვის

5.1 მონაცემები და ინფორმაცია

მიწისქვეშა კომუნიკაციების, გეოლოგიური, ჰიდროლოგიური, მქეტეოროლოგიური და სხვა სახის ფიზიკური ინფორმაცია, რომელიც მოცემულია კონტრაქტის დოკუმენტებში ან რაიმე სხვა გზით გახდა ცნობილი კონტრაქტორისათვის დამკვეთისაგან, არ უნდა იქნეს მიჩნეული სრულყოფილ და დადასტურებულ მონაცემებად. აღნიშნული ინფორმაცია გადაეცემა კონტრაქტორს, რომ მას ჰქონდეს იგივე ინფორმაცია, რაც დამკვეთს და ის არ წარმოადგენს კონტრაქტის ნაწილს. დამკვეთი საკმარისად დარწმუნებული უნდა იყოს ამ ინფორმაციის სიზუსტეში. რომელიც მოპოვებულ იქნა სტანდარტული პროცედურების დაცვით.

6. სამუშაოების და კვლევების დაგეგმარება

6.1 რეპერები, კონტურები და ნიშნულები

დამკვეთი/პროექტის მენეჯერი ველზე მიუთითებს დაკვლევის ღერძებს და რეპერებს შესაბამის ორიენტირებთან და სიმაღლის ნიშნულებთან ერთად, რომელიც საკმარისი იქნება კონტრაქტორის მიერ სამშენებლო სამუშაოების კონტროლისათვის.

არსებული ტოპოგრაფიული მასალა მოიცავს: სამშენებლო ფართობის 1 : 200 მასშტაბის ტოპოგრაფიულ გეგმას.

ტიპოგრაფიული აკრეფვა განხორციელებულია კოორდინატების ადგილობრივ სისტემაში. სიმაღლეები განსაზღვრულია ბალტიის ზღვის სისტემაში.

6.2 შემოწმება

კონტრაქტის მოქმედების ვადის განმავლობაში, ნებისმიერ მომენტში, პროექტის მენეჯერს შეუძლია კონტრაქტორის მიერ დადგენილი ღერძებისა და ნიშნულების შემოწმება და იმის განსაზღვრა, შეესაბამება თუ არა სამუშაო ნახაზებისა და სპეციფიკაციების მოთხოვნებს. პროექტის მენეჯერის მიერ შემოწმება არ ათავისუფლებს კონტრაქტორს მისი მოვალეობისაგან, რომ შეასრულოს ყველა სამუშაო ნახაზების, სპეციფიკაციების და მათში მოცემული ღერძებისა და ნიშნულების შესაბამისად.

კონტრაქტორმა უნდა მოამზადოს ყველა გეგმა, პროფილები და განივი კვეთები, რომელსაც საჭიროდ მიიჩნევს პროექტის მენეჯერი.

7. მასალებისა და აღჭურვილობის დამტკიცება

7.1 მასალების ხარისხი

ყველა მასალები, მოწყობილობები, საკომპლექტო ნაწილები, სამარაგო საგნები, მიწოდებული კონტრაქტის ფარგლებში. უნდა იყოს ახალი, უხმარი, სტანდარტული, მაღალი ხარისხის, საუკეთესო ღონეზე დაპროექტებული და დამზადებული. უხარისხო ან დაბალი ხარისხის მასალები, მოწყობილობები და საკომპლექტო ნაწილები არ მიიღება და მათი გამოყენება არ იქნება ნებადართული. სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოები უნდა შესრულდეს უმაღლესი ხარისხითა და კვალიფიკაციით. ამ სპეციფიკაციების რომელიმე ნაწილის შესაბამისად სამშენებლო მოედანზე მისატანი და სამუშაოებში გამოსაყენებელი მასალების ფასების მოთხოვნისას კონტრაქტორმა მწარმოებელს ან მიწოდებელს უნდა მისცეს სრული ინფორმაცია, რომელიც საჭიროა წინამდებარე პარაგრაფის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად, და ყველა შემთხვევაში მან ეს პარაგრაფი უნდა დაიმოწმოს ყოველ ასეთ მწარმოებელთან და მიწოდებელთან.

7.2 ნიმუშებისა და მონაცემების წარდგენა

კონტრაქტის დადების შემდეგ, შემუშავებისა და გეგმარებად მოკლე ვადაში კონტრაქტორმა პროექტის მენეჯერს დასამტკიცებლად უნდა წარუდგინოს პროექტის მენეჯერის მიერ მითითებული ყველა იმ მქეპანიკური, ელექტრო, არქიტექტურული და სხვა მასალებისა და და აღჭურვილობის ნახაზები, კატალოგები, დიაგრამები და სხვა მონაცემები, რომელთა გამოყენებასაც კონტრაქტორი აპირებს ამ კონტრაქტის ფარგლებში. ზოგიერთი მასალებისა და აღჭურვილობის შესახებ მონაცემები წარმოდგენილ უნდა იქნეს პროექტის მენეჯერის მიერ მიწოდებული დეტალური ფორმის შესაბამისად. მასალების ნიმუშები დასამტკიცებლად უნდა წარუდგინოს პროექტის მენეჯერს, როდესაც ის ამას მოითხოვს. წარმოდგენილ ნიმუშებს უნდა ჰქონდეთ სათანადო ეტიკეტი, რომელზედაც აღნიშნული იქნება ნიმუშების წყარო, დამამზადებელი, კონტრაქტის პუნქტის ნომერი და სხვა მონაცემები. რომელიც საჭიროა ამ სპეციფიკაციების მიხედვით. ყველა ინფორმაცია, ნიმუში და სხვა დროულად უნდა იქნას წარდგენილი, არა ნაკლებ 60 დღით ადრე შესყიდვამდე, რათა შესაძლებელი იყოს სათანადო განხილვა და ზომების მიღება მშენებლობის დამტკიცებული გრაფიკის შეფერხების გარეშე. დასამტკიცებლად ნიმუშების გაგზავნა კონტრაქტორისა მიერ წინასწარ უნდა იქნეს გადახდილი და პროექტის მენეჯერს წინასწარ წერილობით უნდა შეატყობინონ ნიმუშების გაგზავნის თაობაზე.

7.3 გამოცდა

7.3.1 მწარმოებლის შესაბამისობის სერტიფიკატი

ოუ პროდუქცია სტანდარტული წარმოების, მარკირებული ნაკეთობაა, რომელსაც აქვს სპეციფიკაციების მოთხოვნათა შესაბამისი დანიშნულებით არა ნაკლები ორი წლის ვადის ექსპლუატაციის დამაკმაყოფილებელი დასასიათება, პროექტის მენეჯერს შეუძლია მიიღოს მწარმოებლის ნოტარიულურად დამოწმებული განცხადება, რომ პროდუქცია შესაბამეა სათანადო სპეციფიკაციებს.

7.3.2 ქარხნის სერტიფიკატი

მასალებისათვის, რომლებისათვის ასეთი პრაქტიკა ძილებულია, პროექტის მენეჯერს, შეუძლია მიიღოს მწარმოებლის ქარხნის ან ლაბორატორიის სერტიფიკატი.

7.3.3 ლაბორატორიული გამოცდის სერტიფიკატი

პროექტის მენეჯერმა შეიძლება მიიღოს სერტიფიკატი მისთვის მისაღები კომერციული საცდელი ლაბორატორიიდან, რომელშიც დამოწმებული იქნება, რომ პროდუქცია გამოცდილ იქნა პროექტის მენეჯერისათვის დამაკმაყოფილებელი პერიოდის განმავლობაში და ის შეესაბამება წინამდებარე სპეციფიკაციების მოთხოვნებს.

7.4 ხარჯები

ნებისმიერი დამატებითი ლაბორატორიული, სხვადასხვა თუ სამშენებლო გამოცდის ხარჯები, რომლებიც შეიძლება საჭირო გახდეს ნიმუშების სპეციფიკაციებთან შეუსაბამობის გამო, უნდა აანაზღაუროს კონტრაქტორმა.

7.5 ინსპექტირება

ამ კონტრაქტის ფარგლებში მიწოდებული ყველა მასალა და აღჭურვილობა და შესრულებული სამუშაოები შემოწმდება პროექტის მენეჯერის მიერ ნებისმიერ დროს და სამუშაოთა მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე, როგორც სამშენებლო მოედანზე, ასევე მის გარეთ. კონტრაქტორმა დროულად და დამატებითი თანხის მოთხოვნის გარეშე უნდა უზრუნველყოს პროექტის მენეჯერი ამ გამოცდისა და ინსპექტირების ჩასატარებლად აუცილებელი ყველა აღჭურვილობით, მუშახელთა და მასალებით, რომელსაც მოითხოვს პროექტის მენეჯერი. სამშენებლო მოედანზე შემოწმების გარდა შერჩეული მასალები და აღჭურვილობა შემოწმდება მათი მოპოვების წყაროს (წარმოების) ადგილზე, მაგალითად კარიერში ან საწარმოში. კონტრაქტორი აცნობებს პროექტის მენეჯერს, როდის არის შესაძლებელი მასალებისა და აღჭურვილობის შემოწმება. მასალებისა და აღჭურვილობის დადებითი შეფასება ან ინსპექტირებაზე უარის თქმა არ ათავისუფლებს კონტრაქტორს მისი პასუხისმგებლობისგან მიაწოდოს ისეთი მასალები და აღჭურვილობა, რომელიც აკმაყოფილებს საკონტრაქტო დოკუმენტაციის მოთხოვნებს.

7.6 დოკუმენტაცია

სამუშაოთა წარმოება უნდა მოიცავდეს ისეთი დოკუმენტების მომზადების, შემოწმების, შენახვისა და პროექტის მენეჯერისადმი დროულად წარდგენის სისტემას, რომლებიც დადასტურებს სამუშაოთა ყოველი ეტაპის დასრულებას, შესაფერისი მასალების გამოყენებას, საჭირო გამოცდებისა და შემოწმების განხორციელებას და დამაკმაყოფილებელი შედეგების მიღებას. აღნიშნული სისტემის საშუალებით უზრუნველყოფილი უნდა იქნეს კონტრაქტორის მიერ ამ დოკუმენტების შემოწმება მათი გარკვეულობის, სისრულის, მონაცემების სარწმუნოების, დოკუმენტების სამუშაოებთან და აღჭურვილობასთან შესაბამისობისა და შედეგების მისაღებობის დასადგენად.

დოკუმენტები, რომლებიც უნდა მომზადდეს და ინახებოდეს, მოიცავს:

1. ნედლეულის და მასალის გამოცდის საბუთი (ცემენტი, ფოლადი, ბეტონის შემავსებლები და სხვა);
2. ძირითად სამუშაოთა შემოწმების საბუთი (წყალამოღება, გრუნტის ამოღება, ბეტონის, ნაპირგამაგრების სამუშაოები);
3. საძიებო და დაკვალვის პროცედურები;
4. ინსპექტირებისა და გამოცდის პროცედურები;
5. ინსპექტირებისა და გამოცდის ანგარიშები;
6. მიწოდებლის ზედამხედველობის ანგარიშები;
7. საბოლოო ინსპექტირების ანგარიშები;
8. შესაბამისობის სერტიფიკატები.

8. მშენებლობის გრაფიკი

8.1 წარდგენის თარიღი

კონტრაქტის ზოგადი დებულებების ა.17 პარაგრაფის („მოთხოვნები სამუშაოების დადგენილ ვადებში დაბრუნებისადმი“) შესაბამისად კონტრაქტორის მიერ წარსადგენ მშენებლობის პროგრამას თან უნდა ახლდეს დეტალური გრაფიკი, რომელიც მოცავს ყველა სამშენებლო სამუშაოს. მშენებლობის გრაფიკი უნდა წარდგინოს პროექტის მენეჯერს მის მიერ სამუშაოთა დაწყების შესახებ წერილობითი შეტყობინების გამოცემის თარიღიდან 28 დღის განმავლობაში.

8.2 მოთხოვნები

წარდგენილი დოკუმენტები უნდა მოიცავდეს გრაფიკებსა და დაგეგმილი სამშენებლო პროგრამის აღწერას. ყოველი შემთავსებული ან დეტალური გრაფიკი უნდა შედგებოდეს პისტოგრამისაგან (სვეტური დიაგრამა) და დროში გაწერილი გრაფიკისაგან. პისტოგრამაზე ნაჩვენები სამუშაოთა დაწყებისა და დასრულების ვადები უნდა შეესაბამებოდეს დროში გაწერილი გრაფიკის მონაცემებს. საჭიროების შემთხვევაში, დროებითი სამუშაოები ან შეფერხებები (სამუშაოთა წყვეტა) შეტანილ უნდა იქნეს გრაფიკში, რათა ნაჩვენები იქნეს ნაგარაუდვე თარიღებში სამუშაოების დაწყება. ყოველი ძირითადი სამუშაოსათვის წარმოდგენილი უნდა იყოს ცალკე დეტალური გრაფიკი.

8.3 ყოველთვიური ანგარიშები

კონტრაქტორმა ყოველ თვეს უნდა წარმოადგინოს ანგარიშის სამი ასლი, რომელიც შედგება:

- სამუშაოთა მიმდინარე ეტაპის პისტოგრამების ასლები, რომლებზედაც ნაჩვენები იქნება სამუშაოთა რეალური და დაგეგმილი მიმდინარეობა;
- ანგარიში, რომელშიც განხილული იქნება გრაფიკის ყველა მნიშვნელოვანი დარღვევა და, თუ საჭიროა, აღწერილი იქნება ის ზომები, რომელიც მიღებულ უნდა იქნეს დამტკიცებული გრაფიკის დაცვისათვის.

9. სამშენებლო ბანაკი

9.1 ზოგადი

კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს კონტრაქტის სათანადო შესრულებისათვის საჭირო ყველა ოფისის, საამქროს, საწყობის, საცხოვრებლის, სამედიცინო დაწესებულების, მაღაზიების, დასვენების საშუალებების და სხვა მოწყობა.

9.2 სამშენებლო ბანაკისა და საამქროების ადგილმდებარეობა

სამშენებლო ბანაკი, საამქროები და სხვა დროებითი ნაგებობები განლაგებული უნდა იყოს ნახაზებზე ნაჩვენებ ფართობებზე დამკვეთის კუთვნილ ან მის მიერ განკარგულ მიწაზე. საჭიროებისამებრ, ბანაკის სხვა დამხმარე ნაგებობები აშენდება დამკვეთის კუთვნილი ქონების ფარგლებში პროექტის მენეჯერის მიერ დამტკიცებულ ადგილებში. თუ რაიმე მიზეზით (რომელსაც უთანხმება პროექტის მენეჯერი) კონტრაქტორი მოითხოვს თავისი ბანაკისათვის ისეთი მიწების გამოყენებას, რომლებიც არ ეკუთვნის ან არ არის განკარგული დამკვეთის მიერ, მაშინ კონტრაქტორი უნდა შეუთანხმდეს მიწის მფლობელს (მფლობელებს) და უნდა დაფაროს იჯარისა და სხვა შესაბამისი ხარჯები.

9.3 შენობები და ბანაკები

კონტრაქტორის მიერ საცხოვრებლად აგებული ყველა შენობა, ასევე ბანაკები, საამქროები და საწყობები დაპროექტებული და აშენებული უნდა იყოს, როგორც დროებითი ნაგებობა, თუ დამკვეთი სხვაგვარად არ მოითხოვს.

კონტრაქტორის მუშაკთა საცხოვრებელი უნდა აშენდეს კონტრაქტორის საჭიროებისა მიხედვით და საქართველოს ყველა იმ სტანდარტის, კანონისა და განკარგულების შესაბამისად. რომელიც ძალაშია სატენდერო წინადადების წარდგენის თარიღისათვის. როგორც წინამდებარე დოკუმენტშია მითითებული. საცხოვრებელი და სხვა ნაგებობების მასალები, პროექტები და სამშენებლო სამუშაოები პროექტის მენეჯერის მიერ უნდა იქნეს დამტკიცებული მათი საქართველოს სტანდარტებთან შესაბამისობის თვალსაზრისით.

9.4 კონტრაქტორის ნაგებობების და აღჭურვილობის მოვლა და შენახვა

კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს, მიიღოს ყველა ზომა და განახორციელოს მის მიერ ამინებული ყველა ნაგებობის სათანადო ექსპლუატაცია, რათა შეუქმნას მუშაკებს სუფთა, მოვლილი, სასიამოვნო, ჯანმრთელი გარემო და პირობები. ყველა ფართობი უნდა იყოს სუფთა, მოსწორებული, გაწმენდილი მცენარეებისა და ბუჩქნარისაგან და შესაფერისად დრენირებული.

9.4.1 მობილური საკომუნიკაციო სისტემა

კონტრაქტორი პასუხისმგებელი უნდა იყოს პროექტის მობილური საკომუნიკაციო სისტემის უზრუნველყოფაზე.

9.5 კომუნალური შენობები

კონტრაქტორისათვის საჭირო კომუნალური და დროებითი შენობები, როგორცაა სასაწყობო ფარდული, დროებითი ოფისები, საამქროები და ლაბორატორიები, აგებული უნდა იქნეს მხოლოდ პროექტის მენეჯერის წინასწარი თანხმობის საფუძველზე. ამგვარი ნაგებობების კონსტრუქციის ტიპები წინასწარ დამტკიცებული უნდა იყოს პროექტის

მენეჯერის მიერ. ის დროებითი შენობები, რომლებიც დაიკვეთს არ სჭირდება. დაუყოვნებლივ უნდა იქნეს აღებული მას შემდეგ, რაც ისინი შეასრულებენ თავის დანიშნულებას.

10. უსაფრთხოება და ჯანმრთელობის დაცვა

10.1 ზოგადი

ამ კონტრაქტით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებისას, კონტრაქტორმა თითოეული სამუშაოსათვის უნდა უზრუნველყოს ისეთი უსაფრთხო და ადამიანის ჯანმრთელობისათვის უვნებელი სამუშაო პირობები. რის შესაძლებლობასაც იძლევა საქმიანობის ხასიათი. ყველა სამუშაო უნდა შესრულდეს იმ ადგილობრივი და სახელმწიფო კანონების, კოდექსების, მოთხოვნებისა და დადგენილებების შესაბამისად. რომლებიც ეხება ადამიანთა უსაფრთხოებას, ჯანმრთელობის დაცვას და კეთილდღეობას. კონტრაქტორი კარგად უნდა იცნობდეს და უნდა ემორჩილებოდეს ყველა სამშენებლო წესს, რომელიც კანონითაა დადგენილი.

10.2 უსაფრთხოების და ხანძარსაწინააღმდეგო ზომები

კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს სამუშაოთა უსაფრთხოებისათვის საჭირო ყველა წესისა და ინსტრუქციის შესრულება, რათა შეძლებისდაგვარად აიცილოს უბედური შემთხვევები და მინიმუმამდე დაიყვანოს თავისი მუშაკების და სხვა ადამიანთა ზარალი. სამუშაო ტერიტორიაზე უნდა იყოს შესაბამისი ნიშნები და გაფრთხილებები.

კონტრაქტორმა სამშენებლო მოედანზე მუშაობის პერიოდში უნდა უზრუნველყოს გადაუდებელი დახმარების აღმოსაჩენად საჭირო შესაბამისი ნაგებობა-მოწყობილობები სამედიცინო და ქირურგიულ აღჭურვილობასთან ერთად და კვალიფიციური სამედიცინო პერსონალი დაზარალებულთათვის დახმარების გასაწევად.

წინამდებარე 10.2 პარაგრაფში აღნიშნული მომსახურებისათვის არ არის გათვალისწინებული რაიმე ცალკე გადახდების განზოცხილება, გარდა იმ გადახდებისა, რომლებიც მოცემულია ამ კონტრაქტის დებულებებში პირველი დახმარების და სახანძრო უსაფრთხოების მოწყობილობებთან დაკავშირებით, რომლებიც კონტრაქტორმა მე-9 პარაგრაფის შესაბამისად უნდა უზრუნველყოს.

11. მშენებლობის კომუნალური მომსახურება

11.1 ზოგადი

წინამდებარე დოკუმენტის 9.4 პარაგრაფში აღნიშნული ბანაკის კომუნალური მომსახურების გარდა, კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს წყალი, ელექტროენერგია, ტელეფონი, განათება, შეკუმშული ჰაერი და სხვა, რაც საჭიროა მშენებლობისათვის და კონტრაქტის სამუშაოებთან დაკავშირებული სხვა მიზნებისათვის. ობიექტის საბოლოო მიღებამდე ყველა დროებითი ნაგებობა-მოწყობილობა უნდა იქნას აღებული, ან სათანადოდ დატოვებული, თუ არ არსებობს სხვაგვარი მითითება.

11.2 ენერგომომარაგება და განათება

ყველა ადგილი, სადაც მუშაკები რეგულარულად მოძრაობენ მოვალეობების შესრულებისას, ან სადაც მიმდინარეობს სამუშაოები ან მუშაობს მანქანები სხვა პერიოდში გარდა დღის საათებისა, უზრუნველყოფილი უნდა იყოს საჭირო ელექტრო განათებით. დასრულებული ან დაუსრულებული სამშენებლო ან სხვა უბნების განათება, სადაც მასალები გააკეთ ან ადამიანები გადიან, უნდა შეადგენდეს მინიმუმ 40 ლუქსს.

12. ტრანსპორტი – გზები, ხიდები

12.1 ზოგადი

ყვებით მოსაირულებთა. საგზაო და ხიდზე უსაფრთხო და ჯეროვანი მოძრაობის მიზნით კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს და ექსპლუატაცია გაუწიოს გზებს პროექტის ფართობზე და მის მიმდებარე ფართობებზე, როგორც ეს მითითებულია ნახაზებზე ან სხვა სახით არის მოცემულია სპეციფიკაციებში. კონტრაქტორმა პროექტის მენეჯერს დასამტკიცებლად უნდა წარუდგინოს გზების ექსპლუატაციისა და დაცვის გეგმა. კონტრაქტის დასრულებისას კონტრაქტორის მიერ მოწყობილი ყველა დროებითი გზა და ხიდი უნდა აღებულ იქნეს ან დამკვეთის სურვილისამებრ დარჩეს მის საკუთრებაში.

12.2 გადასაზიდი და სამშენებლო გზები

კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს და ექსპლუატაცია გაუწიოს იმ გადასაზიდ და სამშენებლო გზებს, რომელიც საჭიროა სამუშაოსათვის.

კონტრაქტორი არ მიიღებს ცალკე ანაზღაურებას აღნიშნული გზების მოწყობა-მომსახურებისათვის და ეს ხარჯები შეტანილი იქნება სამუშაოთა მოცულობების მუხლში „მობილიზაცია“.

12.3 მისასვლელი ბილიკების, გზებისა და სხვა ობიექტების მოვლა და შენახვა

კონტრაქტორმა უნდა ჩაიბაროს და პროექტის მენეჯერის მოთხოვნათა შესაბამისად გამართულ მდგომარეობაში შეინარჩუნოს სამშენებლო მოედანზე არსებული მისასვლელი ბილიკები, გზები და სხვა ობიექტები იმ დრომდე, სანამ ეს გზები გადატანილი იქნება ან კონტრაქტორი რაიმე სხვა ზომებს მიიღებს, რომლებიც დააკმაყოფილებს პროექტის მენეჯერს.

კონტრაქტორმა უნდა დააყენოს და შეინარჩუნოს საგზაო ნიშნები, სატრანსპორტო ზღუდვები, ლამპიონები, მესიგნალები და სხვა საშუალებები, რომლებიც აუცილებელია ტრანსპორტის უსაფრთხო და ეფექტური რეგულირებისათვის. ის პასუხისმგებელია უზრუნველყოს, რომ გზები და სხვა დროებითი ობიექტები შესაფერისი იყოს საზოგადოებრივი ტრანსპორტის სხვა მიმართულებით უსაფრთხოდ გატარებისათვის.

12.4 კომუნალური აღჭურვილობა

კონტრაქტორმა უნდა ჩაატაროს ღონისძიებები, მიიღოს უსაფრთხოების შესაფერისი ზომები და განახორციელოს ყველა საჭირო სამუშაო კონტრაქტის ფარგლებში. მის სამუშაო ტერიტორიაზე ელექტროენერჯის, ტელეკომუნიკაციების, ტელეფონის ხაზების, ბუნებრივი გაზის სადენების და სხვა კომუნალური აღჭურვილობის დასაცავად და მათზე შემოქმედების თავიდან ასაცილებლად. აღნიშნულთან დაკავშირებული ხარჯები უნდა გაიღოს კონტრაქტორმა. კონტრაქტორმა უნდა დაიცვას და გაათავისუფლოს დამკვეთი ყოველგვარი პრეტენზიისაგან, მოთხოვნისაგან, სარჩელისაგან, ზარალის ანაზღაურებისაგან და ხარჯებისაგან, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ზემოაღნიშნული შემოქმედების შედეგად ან მასთან კავშირში.

13. ეკოლოგიური უსაფრთხოება

კონტრაქტორმა სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე უნდა შეიმუშავოს ადგილობრივი გარემოსდაცვითი მართვის გეგმა (აგმგ), რომელიც უნდა დაამტკიცოს განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტის ტექნიკურმა ერთეულმა, სანამ დაიწყება სარეაბილიტაციო და სამშენებლო სამუშაოები. ამ გეგმამ უნდა მოიცავს თითოეული ბუნებრივი რესურსის, რომელსაც ეხება წარმოდგენილ სახელმძღვანელო პრინციპები და აგრეთვე გაითვალისწინოს სხვა სპეციფიკური რეკომენდაციები, რომლებიც წარმოადგენენ სისტემის გარემოსდაცვითი მართვის გეგმის ნაწილს. წარმოდგენილი პრინციპების ნებისმიერი ნაწილი, რომელიც არ ეხება ცალკეულ პროექტს, დასაბუთებულ უნდა იქნას აგმგ-ში და უნდა შეთანხმდეს პროექტის ტექნიკურ ერთეულთან. პროექტის ტექნიკური ერთეულის გარემოს დაცვის სპეციალისტის შეიმუშავებს და განახორციელებს ეკოლოგიური მონიტორინგის გეგმას.

როდესაც მომზადდება ადგილობრივი გარემოსდაცვითი მართვის გეგმა (აგმგ), კონტრაქტორმა უნდა ჩაატაროს თავისი მუშაკების ტრენინგები, რათა ყოველ მათგანი გაეცნოს აგმგ-ს სამშენებლო მოედანზე გასვლამდე და ყოველთვის დაიცვას ის. პროექტის განმახორციელებელი ერთეულის გარემოს დაცვის სპეციალისტმა საჭიროების შემთხვევაში ამ საკითხთან დაკავშირებით დახმარება უნდა გაუწიოს და რჩევა მისცეს კონტრაქტორს.

გარემოსდაცვითი მართვის სახელმძღვანელო პრინციპები კონტრაქტორებისათვის

13.1 შესავალი

13.1.1. მიზანი

კონტრაქტორებისთვის განკუთვნილი გარემოსდაცვითი მართვის წარმოდგენილი სახელმძღვანელო პრინციპების მიზანია განსაზღვროს სამშენებლო სამუშაოების მინიმალური სტანდარტები, რომლებიც მისაღები იქნება პროექტის განმახორციელებელი ერთეულისათვის. „გარემოსდაცვითი მართვის სახელმძღვანელო პრინციპები კონტრაქტორებისათვის“ (გმსპ) გამოყენებულ უნდა იქნეს კონტრაქტორების მიერ ადგილობრივი გარემოსდაცვითი მართვის გეგმის შემუშავებისათვის.

13.1.2 შესაბამისი კოდექსები, სტანდარტები და კანონმდებლობა

არსებობს სხვადასხვა გარემოსდაცვითი ინტრუქცია და სტანდარტი, რომელიც მოიცავს გარემოსდაცვით და მასთან დაკავშირებულ საკითხებს, და ითვლება, რომ ისინი გამოყენებულ უნდა იქნეს გმსპ-ის მიმართ. მიუხედავად ამისა, ამ ინსტრუქციების და სტანდარტების შესრულება არ ათავისუფლებს კონტრაქტორს სხვა საკანონმდებლო მოთხოვნების შესრულების ვალდებულებისაგან სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობის დროს.

13.1.3 სამშენებლო მოედანი

წინამდებარე გმსპ-სათვის სამშენებლო მოედანი ეწოდება ნებისმიერ მიწას, რომელიც მდებარეობს სარეაბილიტაციო სისტემის ფარგლებში, როგორც ეს განსაზღვრულია პროექტის განმახორციელებელი ერთეულის მიერ კონტრაქტორისათვის გადაცემულ გეგმებსა და ჭრილებზე.

13.2 გზები და ბილიკები

13.2.1 გზების დროებითი და მუდმივი გადაკეტვა და შემოვლითი გზები

¹ პროექტის განმახორციელებელმა ერთეულმა გარემოსდაცვითი მართვის გეგმა ხელმისაწვდომი უნდა განაღოს თითოეული კონტრაქტორისთვის მას შემდეგ, რაც გაირკვევა, რომ ისინი მონაწილეობენ პროექტში.

სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგად შეიძლება საჭირო გახდეს ცალკეული მაგისტრალების ან სავალი ბილიკების გადაკეტვა ან მათი შემოვლითი გზების გაყვანა მუდმივად ან ჩხოლად სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში. კონტრაქტორი ვალდებულია გზების ჩაკეტვის ან შემოვლითი გზების გაყვანის საკითხები შეათანხმოს პროექტის განმახორციელებელ ერთეულთან.

ქუჩების ან სავალი ბილიკების გადაკეტვის, გაუქმების ან სხვაგვარი ზემოქმედების შემდეგ, კონტრაქტორმა პროექტის განმახორციელებელ ერთეულთან ერთად უნდა მიიღოს ზომები, რომ სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობის დროს ამ ქუჩებით ან სავალი ბილიკებით მოძრაობაზე ზემოქმედება რაც შეიძლება ნაკლები იყოს.

იქ, სადაც სარეაბილიტაციო სამუშაოები ზემოქმედებას ახდენს არსებულ საზოგადოებრივ თუ კერძო გზებთან ან სხვა გზებთან, სადაც საზოგადოებას თუ კერძო პირებს აქვთ ტრანსპორტით მოძრაობის უფლება, კონტრაქტორმა უნდა გაიყვანოს შემოვლითი გზები, იქ, სადაც ეს შესაძლებელია. სამშენებლო სტანდარტები და განათება ყველა პარამეტრით უნდა შეესაბამებოდეს ამ გზებზე მოძრავი ტრანსპორტის კლასს ან კლასებს, აგრეთვე შემოვლითი გზების სიგანე არ უნდა იყოს არსებული გზების სიგანეზე ნაკლები, თუ სხვა გადაწყვეტილება არ არის შეთანხმებული პროექტის განმახორციელებელ ერთეულთან.

შემოვლითი გზები გაყვანილ უნდა იქნეს არსებულ გზებზე ზემოქმედებამდე და უნდა უზრუნველყოს ტრანსპორტის სათანადო ნაკადის მოძრაობა.

კონტრაქტორი პასუხისმგებელია სათანადო დროს მოამზადოს, განათავსოს და დაამონტაჟოს საჯარო საინფორმაციო ფირნიშები. ასეთი საინფორმაციო ფირნიშების ტიპი და ადგილმდებარეობა უნდა შეესაბამებოდეს პროექტის განმახორციელებელი ერთეულის მოთხოვნებს.

ამ პარაგრაფის დებულებები არ ეხება დროებით მისასვლელ და დამხმარე გზებს, რომლებსაც ააშენებს კონტრაქტორი მხოლოდ საკუთარი მოხმარებისთვის სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში.

13.2.2. ქვეითად მოსიარულეთა სავალი გზები

შენიშვნების პერიოდში კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს ქვეითად მოსიარულეთა სავალი სათანადო გზები და ამასთან დაკავშირებით უნდა შეასრულოს შემდეგი მოთხოვნები, იქ, სადაც ეს შესაძლებელი იქნება:

1. ყველა დროებით ტროტუარს და გზის სავალ ნაწილს უნდა ჰქონდეს ერთნაირი ზედაპირი და არ უნდა ჰქონდეს საფეხურები;
2. ყველა დროებითი ქვეითად მოსიარულეთა სავალი და დაქანებული გზა დაფარული უნდა იყოს ისეთი მასალით, რომელიც არ გამოიწვევს ოცუკრებას და დაცული უნდა იყოს ტალახის და სამშენებლო ნარჩენებისგან;
3. შენარჩუნებულ უნდა იქნეს მთავარი გზების გასწვრივ ყველა ტროტუარის არსებული სიგანე;
4. გზის სავალ ნაწილზე და ტროტუარზე არსებული ყველა ნაპრალის თუ დაბრკოლების წინ მთელ სიგრძეზე უნდა მოთავსდეს გამაფრთხილებელი ბარიერი;
5. ქვეითად მოსიარულეთა სავალი ყველა გზა, რომელიც გადატანილი იქნება სავალ ნაწილზე, გამოყოფილ უნდა იქნეს ბარიერებით.

13.2.3 ავტომაგისტრალის შენახვა და რემონტი

კონტრაქტორმა ყველა შესაძლო წინასწარი ზომა უნდა მიიღოს, რომ მისი მოქმედებების შედეგად, როგორცაა ტვირთების გადაზიდვა და სხვა, არ მოხდეს სარეაბილიტაციო სამუშაოების სიახლოვეს გზების და სავალი ბილიკების დაზიანება.

კონტრაქტორი ვალდებულია პროექტის განმახორციელებელი ერთეულის თანხმობის საფუძველზე ჩაატაროს მიმდინარე რემონტის სამუშაოები, რომელიც აუცილებელია სამშენებლო სამუშაოების სიახლოვეს გზებისა და სავალი ბილიკების მუშა მდგომარეობაში შესანარჩუნებლად.

13.2.4 სატვირთო მანქანების მოძრაობა

კონტრაქტორი, მისი ქვე-კონტრაქტორები და მიმწოდებლები, რომლებსაც გადააქვთ დიდი და/ან მძიმე ტვირთები, სამშენებლო მოწყობილობები, მასალები და გრუნტი (ამ მანქანების დაუტვირთავად მოძრაობის ჩათვლით) ვალდებული არიან, რაც შეიძლება ნაკლებად გამოიყენონ სამოქალაქო ავტომაგისტრალები.

მარშრუტები წინასწარ უნდა შეთანხმდეს პროექტის განმახორციელებელ ერთეულთან. მანქანები სამშენებლო მოედანზე უნდა შემოიღონ და გადვიდონ სათემო საათებში, თუ სხვაგვარად არ არის შეთანხმებული პროექტის განმახორციელებელ ერთეულთან.

კონტრაქტორმა უნდა მიიღოს ყველა სათანადო ზომა იმისათვის, რომ ტვირთგადასმზიდი მანქანები არ ჩერდებოდნენ ავტომაგისტრალზე სამშენებლო მოედანზე შემოსვლის წინ.

სარეაბილიტაციო სამუშაოების რაიმე ნაწილის შესრულებაზე ან მძიმე ტვირთების, სამშენებლო მოწყობილობების, მასალების ან გრუნტის ტრანსპორტირებაზე ქვე-კონტრაქტორის დადების დროს კონტრაქტორმა უნდა შეიტანოს დებულება, რომელიც მოითხოვს ქვე-კონტრაქტორისგან ან მიმწოდებლისგან წინამდებარე პარაგრაფის მოთხოვნების შესრულებას.

13.2.5 ტალახი გზებზე

კონტრაქტორმა უნდა მიიღოს მკაცრი ზომები მიწის სამუშაოებით გამოწვეული ტალახის გზებზე მოხვედრის შესაძლებლობის მინიმუმამდე დასაცვანად.

ეს უნდა მოიცავდეს შემდეგს (შეიძლება სხვა ზომებსაც):

1. ავტომობილების ბორბლების სამრეცხაოს მოწყობა;
2. სამშენებლო მოედნის სიახლოვეს მდებარე გზების, ქვეითად მოსიარულეთა გზების, არხების და სადრენაჟო არხების რეგულარულ გაწმენდას მშენებლობის პროცესში მონაწილე მანქანების მიერ დატოვებული ტალახისგან ან სამშენებლო ნარჩენებისგან;
3. ტალახისა და სამშენებლო ნარჩენების გადამტანი მანქანების საბარგულების გვერდებიდან და ზევიდან სრულ დაფარვას;
4. კონტრაქტორის მიერ სატვირთო მანქანების ისეთნაირად დატვირთვის უზრუნველყოფას, რომ არ ხდებოდეს მანქანებიდან გრუნტის ჩამოყრა მათი გადაადგილების დროს.

კონტრაქტორმა აგრეთვე უნდა შეასრულოს მოთხოვნები მტკვართან დაკავშირებით, რომლებიც მოცემულია „გარემოსაცვითი მართვის სახელმძღვანელო პრინციპებში“.

13.2.6 ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოება და რეგულირება (მოძრაობის უსაფრთხოების ზომები)

კონტრაქტორი ვალდებულია პროექტის განმახორციელებელი ერთეულის თანხმობით განათავსოს საგზაო ნიშნები, გააკეთოს გზების მონიშვნა, დააყენოს განათება, საგზაო ბარიერები და მოძრაობის რეგულირების ნიშნები და მიიღოს სხვა ზომები, რომლებსაც მოითხოვს სარეაბილიტაციო სამშენებლო სამუშაოები.

კონტრაქტორმა არ უნდა წამოიწყოს ისეთი სამუშაო, რომელმაც შეიძლება ზემოქმედება იქონიოს სამოქალაქო საავტომობილო მაგისტრალზე, სანამ სარულად არ ამოქმედდება სამუშაოებით განპირობებული საგზაო უსაფრთხოების ზომები.

კონტრაქტორი ვალდებულია ყურადღება მიაქციოს, რომ საგზაო ნიშნები, გზების მონიშვნა, განათება, ბარიერები და მოძრაობის რეგულირების ნიშნები იყოს სუფთა და ჩანდეს გარკვევით. იგი ვალდებულია დააყენოს, გადიტანოს, დაფაროს ან აიღოს ისინი სამუშაოს მიმდინარეობის შესაბამისად და პროექტის განმახორციელებელი ერთეულის თანხმობით.

13.2.7 სამშენებლო მოედანზე მისასვლელი გზები

სამშენებლო ტერიტორიიდან ავტომაგისტრალზე ყველა გასასვლელი გზა საკმარისად განიერი უნდა იყოს ორმხრივი მოძრაობის უზრუნველსაყოფად იქ, სადაც ეს საჭირო იქნება. თითოეულ ასეთ გასასვლელ გზაზე უნდა უნდა იყოს შემდეგი საგზაო ნიშნები:

1. მიასვლების წინასწარი გაფრთხილება.
2. გზის დათმობის ნიშნები ტერიტორიიდან გამავალი ტრანსპორტის რეგულირებისთვის.

თითოეული ნიშნის განთავსების ადგილი უნდა განსაზღვროს კონტრაქტორმა პროექტის განმახორციელებელი ერთეულის თანხმობით.

13.2.8 მისასვლელი გზები სამშენებლო მოედნის გავლით და ნაკვეთების საზღვრებამდე

სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოების დროს კონტრაქტორმა ყველა მისაღები ზომა უნდა იხმაროს იმისათვის, რომ მიმდებარე ტერიტორიების მფლობელებს და მაცხოვრებლებს, და მოსახლეობას ზოგადად, რაც შეიძლება ნაკლებად, ან საერთოდ არ შეექმნათ პრობლემები.

სამშენებლო მოედანზე ან მის რაიმე ნაწილზე გამავალი გზები და მიმდებარე ნაკვეთისაკენ მიმავალი საზოგადოებრივი ან კერძო გზები კონტრაქტორმა უნდა შეინარჩუნოს უსაფრთხო მდგომარეობაში კონტრაქტის დაწყებამდე არსებულ დონეზე.

კონტრაქტორმა დაზარალებული პირები უნდა უზრუნველყოს მათთვის დამაკმაყოფილებელი გასასვლელი და მისასვლელი ალტერნატიული გზებით. კონტრაქტორმა უნდა აავსოს და შეინარჩუნოს ყველა საჭირო ბარიერი, ღობე, შლაგბაუმი, განათება, ხიდები, ტროტუარები, საფეხურები და სხვა. ისინი უნდა იყოს თავისი დანიშნულების შესაბამისი ზომის, სიმაგრის და კონსტრუქციის.

თუ სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს სამშენებლო მოედნის გარეთ არსებულ დასახლებულ ფართობების უშუალო სიახლოვეს, კონტრაქტორი ვალდებულია, რაც შეიძლება ნაკლები უზერხულობა შეუქმნას ამ ნაკვეთის მაცხოვრებლებს თუ მოსარგებლებს. ასეთ ნაკვეთებთან მიმოსვლის შესაძლებლობა უნდა არსებობდეს ყოველთვის, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა.

კონტრაქტორი ვალდებულია ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოს სარეაბილიტაციო სამუშაოებით გამოწვეული ზემოქმედების ქვეშ მყოფ ნაკვეთების პატრონებს, რომ მათ შეძლონ საჭონლის ან მასალების შეტანა და გამოტანა თავიანთი ნაკვეთებიდან.

13.2.9 სასოფლო-სამეურნეო მიწებთან მისასვლელი გზები

კონტრაქტორს უნდა ჰქონდეს ურთიერთობა ადგილობრივ ფერმერებთან (შესაბამისი საქმიანობის ასოციაციის საშუალებით), რათა სამშენებლო სამუშაოების გრაფიკი ისე დაიგეგმოს, რომ რაც შეიძლება ნაკლები ზემოქმედება (მაგ. მიმოსვლის შეზღუდვა ან სარწყავი წყლის მიწოდების შეწყვეტა) იყოს სასოფლო-სამეურნეო მიწებზე კულტურების განვითარების ისეთი მნიშვნელოვანი ფაზების დროს, როგორცაა თესვა და მოსავლის აღება. სამშენებლო სამუშაოების

გრაფიკი, როგორც ადგილობრივი გარემოსდაცვითი მართვის გეგმის ნაწილი, სამუშაოების დაწყებამდე შეთანხმებულ უნდა იქნეს პროექტის განმახორციელებელ ერთეულთან.

13.3 წყლისა და ნიადაგის დაცვა

13.3.1 ჩამდინარე და მიწისქვეშა წყლები

სარეაბილიტაციო სამუშაოების ტერიტორიაზე სადრენაჟო სისტემის მშენებლობა მოხდება ტერიტორიის სადრენაჟო სისტემის სათანადო გეგმის შექმნის და განხორციელების შედეგად. გეგმა უნდა მოიცავდეს ზომებს, რომლებიც უზრუნველყოფს ზედაპირული წყლების სათანადო რეგულირებას და მართვას, როგორც ქვემოთ არის აღწერილი. ასეთი ზომები თავიდან აიცილებს სამშენებლო მოედნიდან და მასალის შესანახი ადგილებიდან ჩამონადენი წყლის ჩაღვრას ადგილობრივ წყლებში.

ჩამდინარე წყლების და სამშენებლო მოედნიდან წყლების ჩაშვება დაშვებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩამდინარე წყლების ხარისხი და წყლის ჩადინების ადგილი მისაღებია პროექტის განმახორციელებელი ერთეულისათვის. ჩამდინარე წყლების ნაკადმა უნდა გაიაროს გამწმენდი საშუალებები, როგორცაა შესაბამისად ნატანის გამწმენდი ფილტრები და/ან საღებავი სანამ მოხდება მათი ჩაღვრა. კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს გამწმენდი საშუალებების/ნაგებობების რეგულარული შემოწმება და რემონტი.

კონტრაქტორმა უნდა მიიღოს ყველა ზომა იმისათვის, რომ ნავთობპროდუქტების ცისტერნები და ტერიტორიაზე არსებული სხვა პოტენციური დაბინძურებლების კონტეინერები იყოს იზოლირებული და გამოყოფილი სპეციალური მიწაყრილებით. რათა არ მოხდეს ნავთობისა ან სხვა დაბინძურების მოხვედრა წყლის კალაპოტებში ან მიწისქვეშა წყლებში, წყალშემცველი შრის ჩათვლით. კერძოდ, საწვავისა და ქიმიური ნივთიერებების საწყობების გარშემო უნდა გაკეთდეს მიწაყრილები (შენახული ემიკატების 110%-ის მოცულობით), რათა მოხდეს გაჟონვის იზოლირება, მიწაყრილები, (რომლებიც თავისთავად მოშორებული უნდა იყოს წყლებს) უნდა გადაიხსროს, რომ არ მოხდეს ეროზია. აგრეთვე მოეშავე პერსონალისთვის უნდა შეიქმნას სათანადო სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებები (მაგ. საბინძურებელი). ამასთან ერთად, სამშენებლო სამუშაოების დაწყების წინ უნდა შექმნადეს საწვავისა და ქიმიური ნივთიერებების ხმარებისა და შენახვის წესი და გაუთვალისწინებელი შემთხვევების გეგმა, რათა არ მოხდეს ან მინიმუმამდე შეზღუდეს ზემოქმედება, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს ასეთი ნივთიერებების გაჟონვამ.

კონტრაქტორმა აგრეთვე უნდა გაითვალისწინოს წყალშემცველი შრის არსებობაც. საჭიროებისამებრ მიწისქვეშა წყლების დაბინძურების თავიდან აცილების ზომები შეთანხმებულ უნდა იქნეს პროექტის განმახორციელებელ ერთეულთან.

13.3.2 კანალიზაციის წყლების დრენაჟის კონტროლი და მართვა

სამუშაო პერსონალის კანალიზაციის და ნარჩენი წყალი უნდა გროედებოდეს სპეციალურ დროებით საკანალიზაციო საღებავში. ნარჩენი წყლები გატანილ უნდა იქნეს სამშენებლო მოედნიდან.

13.3.3 წყლის მიწოდებასთან დაკავშირებული კონფლიქტები

კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს, რომ სამუშაო პერსონალს საკმარისად ქონდეს წყალი, რაც არ უნდა ხდებოდეს ადგილობრივი მოსახლეობის საზიანოდ. თუ წყლის შეზღუდული რაოდენობის გამო შესაძლებელია კონფლიქტის წარმოქმნა, მაშინ კონტრაქტორმა არ უნდა ისარგებლოს წყლის ადგილობრივი მარაგით და სამუშაო პერსონალი უნდა მოამარაგოს წყლით ალტერნატიული საშუალებებით (წყლის შემოტანა ცისტერნებით, წყლის დაგროვება).

13.3.4 ნიადაგის დაცვა

დაბინძურებული ნიადაგი. ივნება ეს არსებული დაბინძურება თუ მშენებლობის პროცესში შემთხვევითი გაჟონვების შედეგი, უნდა დამუშავდეს პროექტის განმახორციელებელ ერთეულთან შეთანხმებული მეთოდით წინა-სამშენებლო აგეგმვის დროს².

კონტრაქტორმა ასევე უნდა მიიღოს ყველა წინასწარი ზომა, რათა თავიდან აიცილოს ნიადაგის ტკეპნა იქ, სადაც ეს არ არის საჭირო. მაგ. მიძიმე ტექნიკის გამოყენების მინიმუმამდე დაყვანა.

13.4 ხმაური და სამუშაო საათები

13.4.1 სამუშაო საათები

ჩვეულებრივ, სამუშაო საათები უნდა იყოს 07.00 - 19.00.

ეს სამუშაო საათები არ ეხება იმ ტექნიკას, რომელმაც მუდმივად უნდა იმუშაოს (მაგ. უსაფრთხოების მიზნით).

ცალკეულ სამშენებლო მოედნებზე შეიძლება შემოღებულ იქნეს განსხვავებული სამუშაო საათები. ეს საკითხი შეთანხმებულ უნდა იქნეს პროექტის განმახორციელებელ ერთეულსა და კონტრაქტორს შორის.

ზოგადად, მუშაობა ღამის საათებში მინიმუმამდე უნდა იქნეს დაყვანილი. იმ სამშენებლო მოედნებისთვის, სადაც აუცილებელია მუშაობა ღამის საათებში, ეს საკითხი უნდა შეთანხმდეს პროექტის განმახორციელებელ ერთეულთან.

² დაბინძურებული ზონების რუკები გადაეცემა კონტრაქტორს მართვის/დამუშავების შესაბამის მითითებებთან ერთად.

საგანგებო სიტუაციებით გამოწვეული დამატებითი ან ალტერნატიული სამუშაო სააოები უნდა ეცნობოს პროექტის განმახორციელებელ ერთეულს.

13.4.2 ხმაურის კონტროლი

კონტრაქტორი ვალდებულია ყველა ზომა მიიღოს ხმაურით გამოწვეული პრობლემების შესამცირებლად. ეს მოიცავს:

1. ჩვეულებრივი სამუშაო საათების დაცვას დასახლებულ ტერიტორიებზე ან მათ სიახლოვეს
2. ტექნიკა-დანადგარების კარგ მდგომარეობას, რაც მინიმუმამდე დაიყვანს ვიბრაციის ხმაურს, ჭრიალს და სხვას.
3. ტექნიკის გამორთვას იმ შემთხვევებში, როცა მისი მუშაობა არ არის სავალდებულო (გარდა იმ ტექნიკისა, რომელმაც მუდმივად უნდა იმუშაოს).

13.5 მტვერი და ჰაერის დაბინძურება

13.5.1 მტვერი

კონტრაქტორი ვალდებულია მიიღოს ყველა ზომა მშენებლობის და ნგრევის დროს წარმოქმნილი მტვერით გამოწვეული პრობლემების თავიდან ასაცილებლად.

- მტვერის თავიდან აცილების ზომები მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს:
1. მასალების გროვების დაფარვას ნებისმიერ დროს, ხოლო მშრალი ამინდის პირობებში გადმოტვირთვის დროს მტვერის წარმოქმნილი მასალების წყლის ჭავლით მორწყვას.
 2. ტერიტორიაზე მასალების ჭრის და დაფქვის კონტროლს.
 3. გრუნტის და მტვერის წარმოქმნილი სხვა მასალების გადამზიდი მანქანების სრულ გადახურვას.
 4. მოუპირკეთებელი ზედაპირების და საფარის არმქონე გზების მორწყვას.
 5. მანქანების სიჩქარის 35 კმ/სთ-მდე შეზღუდვას საფარის არმქონე გზებზე.

13.5.2 ჰაერის დაბინძურება

კონტრაქტორმა უნდა მიიღოს ზომები, რომ არ მოხდეს კვამლის და ჭვარტლის ამოფრქვევა სამშენებლო მოედნიდან ან საწვავის შენახვის ადგილებიდან. დანადგარები უნდა იყოს კარგ მდგომარეობაში და მიღებული უნდა იქნეს ზომები, რომ მათ არ იმუშაონ ზანგრძლივად, როცა მათი მუშაობა არ არის აუცილებელი.

13.6 ნარჩენებისა და დაბინძურებული მასალების გატანა

13.6.1 ნარჩენები

კონტრაქტორმა, როგორც ადგილობრივი გარემოსდაცვითი მართვის გვემის ნაწილი, უნდა შეადგინოს მართვის გვემა, რომელშიც დადგენილი იქნება:

- ნარჩენის კატეგორია და წარმოქმნილი მასალების რაოდენობა;
 - მეორადი გადამუშავების და/ან გამოყენების შესაძლებლობა;
 - გატანის მარშრუტები და სალიცენზიო მოთხოვნები.
- სამშენებლო სამუშაოების დროს ამოღებულ გრუნტი, რომელიც შეფასდება "ყრილისათვის ვარგისად", შეიძლება გამოყენებულ იქნეს შესაბამის შემთხვევებში.
- გატანის ადგილები უნდა დაადგინოს კონტრაქტორმა განმახორციელებელ ერთეულთან კონსულტაციების საფუძველზე.

13.6.2 დაბინძურებული მიწა და მასალები

ნებისმიერ დაბინძურებულ მასალას კონტრაქტორი უნდა მოექცეს პროექტის განმახორციელებელი ერთეულის შესაბამისი წესებისა და ინსტრუქციების მიხედვით.

პროექტის განმახორციელებელმა ერთეულმა უნდა დაადგინოს ის ადგილები სამშენებლო მოედნის ფარგლებში, რომლებიც შეიძლება იყოს დაბინძურებული. კონტრაქტორი ვალდებულია:

- შეიმუშაოს ტრანსპორტირების და სხვა სამოქმედო პროცედურები;
- უზრუნველყოს დაბინძურებული მასალების გატანის და ლიკვიდაციის პროცესის ადგილობრივ გარემოსდაცვით კანონმდებლობასთან შესაბამისობა.

13.7 ეკოლოგია

13.7.1 გეოლოგიური ბუნების ხელყოფა

კონტრაქტორი ვალდებულია დაიცვას გარემოს დაცვის კანონმდებლობის შესაბამისი დებულებები. დაცული უნდა იქნეს შემდეგი ზოგადი პრინციპები (სათანადო შემთხვევებში):

1. დაცულ უნდა იქნეს წინა პუნქტებში მოცემული მტერის, ხმაურის და ჰაერის დაბინძურების კონტროლის სტანდარტები ეკლურს ბუნების წარმოსადგენლების მიმდებარე საბინადრო ადგილების დაცვის მიზნით.
2. საბინადრო ადგილების დანაკარგების მინიმუმამდე დასაცვანად, შესაძლებლობის ფარგლებში შექმნილეს სამუშაოების ფრონტი.
3. მიღებულ უნდა იქნეს შესაბამისი ზომები დამაბინძურებელი ნივთიერებების წყალის ობიექტებში მოხვედრის თავიდან ასაცილებლად - უნდა შემოიღობოს მომდებარე საბინადრო ადგილები და პერსონალს ჩაუტარდეს ტრენინგი მათი გათვითცნობიერების მიზნით.
4. კატეგორიულად აკრძალულია მომუშავე პერსონალის მიერ ტერიტორიის სიახლოვეს ხეების უკანონო ჭრა, ცხოველების დაჭერა ან დაზოცვა (მაუნებლების გარდა), ეს შეიძლება გახდეს კონტრაქტის შეწყვეტის მიზეზი. კონტრაქტორმა უნდა აკონტროლოს, რომ მომუშავე პერსონალს ჰქონდეს საკმარისი რესურსები და საწვავი, რომ ადგილი არ ჰქონდეს ასეთ შემთხვევებს.

13.7.2 ზრდასრული ხეების დაცვა

სადაც ეს შესაძლებელია, თავიდან უნდა იქნეს აცილებულ ხეების ჭრა. უარყოფითი ზემოქმედება ტერიტორიის ფარგლებში ან მის გარეთ მდებარე ყველა ხეზე უნდა შექმნიდეს სათანადო ზომების მიღებით, რომელიც მოიცავს (არა მარტო) შემდეგს:

1. ქვედა ტოტების შერჩევით მოჭრას სათანადო მეთოდით სამშენებლო სამუშაოებით გამოწვეული მქანნიკური დაზიანების შესამცირებლად;
2. ნიადაგის ტექნიკის თავიდან ასაცილებლად ხეებს ფესვთა სისტემის გარშემო სპეციალური ჭილობების დაგებას;
3. ხეების გარშემო სპეციალური ღობეების მოწყობას მქანნიკური დაზიანების საწინააღმდეგოდ;
4. ზემოთ აღნიშნულის მიუხედავად, სამშენებლო სამუშაოები თითოეული ხის სიახლოვეს მუდმივი კონტროლის ქვეშ უნდა მიმდინარეობდეს, რათა არ მოხდეს ხეების ძირში ნიადაგის ზედმეტად ტექნა. ასეთ ადგილებში არ უნდა ხდებოდეს მძიმე მასალების შენახვა, აგრეთვე უნდა რეგულირდებოდეს სამშენებლო ტექნიკის მოძრაობა.

13.7.3 ხეების ჩანაცვლება

თუ რომელიმე ხე დაზიანდება ან მოიჭრება თანხმობის გარეშე, ან გახდება სამშენებლო სამუშაოების გამო, მის მაგივრად დარგული უნდა იქნეს შესაბამისი ზომის ნერგი პროექტის განმახორციელებელი ერთეულის თანხმობით.

13.8 სამშენებლო მოედნის საზღვრები/შემოღობვა

კონტრაქტორმა პროექტის განმახორციელებელ ერთეულთან ერთად უნდა გადაწყვიტოს, ტერიტორიის რომელი ადგილები (თუ ამის საჭიროება არსებობს) უნდა იყოს შემოღობილი გარეშე პირთა შემოსვლის თავიდან ასაცილებლად.

13.9 სამშენებლო მოედანზე მიმდინარე საქმიანობა

13.9.1 სწორი სამუშაო საქმიანობა

